ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გლდანში „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმისთვის ნიკა ქარსელაძე და კახა გამხუაშვილი დააკავეს



გვ.7

ისინი მძევლებმა ამოიცნეს

12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

სალმრთო ისტორია

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ოთხშაბათი, 13 მარტი, 2019 №60 (8014) ფასი: 60 თეთრი

სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ გაუდგა?

გვ.2

მამუკა ბახტაძე ურჩ დეპუტატებს ემუქრება

წულუკიანმა ივანიშვილი დააშანტაჟა და მინისტრად დარჩა

„დაელოდეთ კოსას“

გვ.2

„ივანიშვილმა ხაზარაძეში პოტენციური საფრთხე დაინახა“

თორნიკე შარაშენიძე: „შსს-ში გახარიას ღარიბაშვილი ჩაანაცვლებს“

გვ.3

გვ.6

ვახტანგ მაისაია: „ნატომ რუსეთი თავის მტრად გამოაცხადა“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „2020 წლამდე მთავრობაში ქირურგიულ ჩარევებს არ ველოდები“

გურულები ხელისუფლებას აჯანყებით ემუქრებიან

გვ.5

ლალი ბასილაშვილი: „ჩვენს სოფლებს არავის გავანადგურებინებთ!“

ლიბერთი ბანკსა და საფეხბურთო კლუბ თბილისის ლოკომოტივს შორის პარტნიორობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა

ლიბერთის სახით ძლიერ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდამჭერ ორგანიზაციას დავუმეგობრდით

ლიბერთი ბანკსა და საფეხბურთო კლუბ თბილისის ლოკომოტივს შორის პარტნიორობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.

აღნიშნული ითვალისწინებს საფეხბურთო კლუბის ფინანსურ მხარდაჭერასა და ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებისთვის შესაფერისი სავარჯიშო პირობების შექმნას.

„ლოკომოტივის მთავარი ფასეულობაა, წარმატებით იფუნქციონიროს როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ.

ვფიქრობ, დღევანდელი დღე დასტურია იმისა, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ფეხბურთში კერძო სექტორის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია და, იმედი მაქვს, ეს პრეცედენტი კარგი მაგალითი იქნება სხვა კომპანიებისთვისაც.

მოხარული ვარ, რომ ლიბერთის სახით ძლიერ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდამჭერ ორგანიზაციას დავუმეგობრდით.

ლიბერთი ბანკთან თანამშრომლობით, ფინანსური სარგებლის გარდა, გავიჩენთ უფრო მეტ გულშემატკივარს. ყველა ვთანხმდებით, რომ ფეხბურთი გულშემატკივარს ეკუთვნის და მათი სტადიონზე დაბრუნება ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტია“, – განაცხადა საფეხბურთო კლუბ თბილისის ლოკომოტივის პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ.

,,ლიბერთის არსებობის ისტორიაში ეს გახლავთ პირველი ამ მასშტაბის პროექტი, რითაც ბანკი ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის განვითარებას და მონაწილეობას მიიღებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში. ჩვენი დიდი სურვილია, თბილისის ლოკომოტივის ყოველი თამაში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეს. ამ პროცესში მაქსიმალურად ჩავერთვებით.

ეს მხოლოდ დასაწყისია და მომავალში არაერთ ერთობლივ და საინტერესო პროექტს შევთავაზებთ კლუბისა და ზოგადად ფეხბურთის ქომაგებს“, – განაცხადა ლიბერთის გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან თხელიძემ.

ISSN 1987-9385

4 მამუკა მუმლაძე: „500 ლარზე მეტია ვაუჩერზე, რაც სრულიად საკმარისია ტაქსის გადასალებად“

5 ანზორ აბრალავა: „გაუგებარია ღარიბაშვილის დაბრუნების გამო ატეხილი ისტერიკა“

4 დავით მესხიშვილი: „13 ივნისის ტრაგედია, შესაძლოა, მალე განმეორდეს, უბედური შემთხვევის მთავარი ცენტრი კი ვარაზისხევი გახდება“

6 ვინ ველარ შეძლებს მინის უზრუნველყოფაში ჩადებას?

წულუკიანმა ივანიშვილი დააშანტაჟა და მინისტრად დარჩა

„დაელოდეთ კოსას“

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიაში დიდი და უცნაური ამბები ხდება. ივანიშვილისა და ღარიბაშვილის მეორედ მოსვლის შემდეგ თეა წულუკიანის მობრუნების ჯერიც დადგა. ოღონდ ის პოსტზე ისე დააბრუნეს, რომ წასვლაც კი არ აცალეს.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ იუსტიციის მინისტრმა ბიძინა ივანიშვილი დააშანტაჟა. ამით მან თანამდებობაც შეინარჩუნა და იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობაც მიიღო, რომელიც მან წამოაყენა.

ხმა იუსტიციის მინისტრის გადადგომის შესახებ 8 მარტს გავრცელდა. თავიდან მმართველ პარტიაში ამას არ ადასტურებდნენ და მედიას ჭორის გავრცელება დასდეს ბრალად. 11 მარტს მედიის მიმართ ცოტა ენამოჩლექით დაიწყეს საუბარი, რადგანაც წულუკიანმა ჟურნალისტებს აუწყა, ჩემი მოთხოვნა თუ არ იქნება გაზიარებული, გვერდზე გავიწევიო.

გუშინ, 12 მარტს, დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუსტიციის მინისტრმა თანამდებობა დატოვა. მმართველ პარტიაში მედიას დაუდასტურეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წულუკიანი საფრანგეთში საქართველოს ელჩი იქნება.

რამდენიმე საათში კი გავიგეთ, რომ იუსტიციის მინისტრი არსად წასულა და ჯერ კიდევ ინარჩუნებს თანამდებობას.

მეტიც, თეა წულუკიანმა ერი და მედია დაანამუსა კიდევაც – იმის თქმა როგორ იკადრეთ, რომ მე მშობლიურ მთავრობას ულტიმატუმს წავუყენებდიო.

– მინდა გითხრათ, რომ ეს მთავრობა არ არის ის მთავრობა, სადაც ჩვენ ერთმანეთს ულტიმატუმის ენით ვესაუბრებით, ეს არის გუნდი, სადაც მე, ისევე, როგორც სხვა კოლეგებს, გვაქვს შესაძლებლობა, რომ გამოვთქვათ განსხვავებული პოზიცია.

პოზიციები შევაჯერეთ და ჩავთვალეთ, რომ ეს საკითხი ამოწურული იყო. ვფიქრობ, რომ ეს არის უფრო ჯანსაღი, ვიდრე ზოგიერთი სისტემა, რომელიც, მაგალითად, წარსულში გვინახავს, როდესაც მართლაც ულტიმატუმების ენით ესაუბრებოდნენ და შემდეგ ეთერებში სხდებოდნენ ხოლმე თავდაცვის მინისტრები. ეს ექვსი წლის წინ დასრულდა, აზრთა სხვადასხვაობა რომ არსებობდა გარკვეულ თემაზე. ეს ამბავი მედიისთვის გახდა ცნობილი რამდენიმე დღის წინ და, ვინაიდან ჩვენ თქვენ კრიტიკის ქარცეცხლში გვატარებთ, გვაქვს ვალდებულება, ვიყოთ გულწრფელები. გულწრფელად დაგიდასტურეთ, რომ ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ, მინდა იცოდეთ, რომ მამუკა ბახტაძე არ არის ის, ვისაც ვინმე ულტიმატუმის ენაზე მთავრობის ფარგლებში დაელაპარაკება, – განაცხადა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, სხვადასხვა აღმასრულებელ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა როგორიც არ უნდა იყოს, ის არასოდეს იქნება გუნდის რღვევის ნიშანი.

– 2010 წელს მაისში, როდესაც დავბრუნდი სტრასბურიდან და ჩავერთე ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს არის ის ბრძოლა, რომელიც იქნება ჩემთან ერთად, ვიდრე მივიჩნევ, რომ ეს ძალა შეწინააღმდეგებას საჭიროებს და ეს ბრძოლის ველი გადის „ქართული ოცნების“ თანამებრძოლებთან ერთად, – ამბობს წულუკიანი.

მისივე თქმით, მომავალ კვირას მას საკანონმდებლო ორგანოში ექნება მინისტრის საათი, სადაც უფრო დეტალურად ისაუბრებს.

ჟურნალისტების კითხვაზე, სიტუაციის დარეგულირებაში ჩაერთო თუ არა ბიძინა ივანიშვილი, თეა წულუკიანი პასუხობს, რომ საკითხი აღმასრულებელი ხელისუფლების თემა იყო და ჯანსაღი პროცესით მივიდნენ საბოლოო პოზიციამდე.

– ასე მოგვაჩვიეს წარსულში, რომ ყველაფერს წყვეტდა ხოლმე ერთი კაცი, რომელიც ახლა მოხეტიალე ქართველი პოლიტიკოსის სახელით არის მსოფლიოში ცნობილი. ინერციით გრძელდება და გგონიათ, რომ ყოველთვის ერთი კაცი უნდა წყვეტდეს საკითხებს ჩვენი ხელისუფლების პირობებში. ხშირად ასე არ არის და ამ შემთხვევაშიც ის აღმასრულებელი თემა რაც იყო, ჩვენ განვიხილეთ და მივედით გუნდის საერთო პოზიციამდე და ეს იყო ჯანსაღი პროცესი, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

მთელი დღის განმავლობაში მან ბევრი განცხადება გააკეთა, მაგრამ ცოცხალი თავით არ გაამხილა, რა ულტიმატუმი წაუყენა მას მთავრობას. მინისტრმა გუშინ, 12 მარტს, რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ამის გაგება თუ გვინდა, უნდა დაველოდოთ, როდის გაიზრდის ის კოსას.

მედიის პირით წულუკიანმა ოპონენტებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ იქნება თუ არა თანამდებობაზე, ის მაინც „ქართული ოცნების“ ქოლგის ქვეშ იბრძოლებს მათ წინააღმდეგ. მისი თქმით, თემის ამოწურვის გამო ოპონენტები იმედგაცრუებულები დარჩნენ.

– სხვადასხვა აღმასრულებელ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა, როგორიც არ უნდა იყოს ის, არასოდეს არ იქნება ის, ოპონენტების მინდა, ავუხსნა, რომ რღვევის ნიშანი ჩემი მხრიდან. პირიქით, ამომრჩეველი ვიქნები უბრალოდ თუ სხვა პოზიციაზე, ოპონენტებს მინდა, დავუდასტურო, მე მათთვის ყოველთვის ვიქნები „ქართული ოცნების“ ქოლგის ქვეშ მებრძოლი მათი ერთ-ერთი ყველაზე ხმალამოღებული პოლიტიკური მოწინააღმდეგე. ეს მათთვის, ალბათ, საწყენია, რადგან იმედგაცრუებას ვატყობ იმისთვის, რომ თემა ამოიწურა. მაგრამ ეს არის ასე, – აღნიშნა წულუკიანმა.

„ოცნების“ ხელისუფლებაში წულუკიანი ირაკლი ალასანიამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მოიყვანეს. მას შემდეგ, რაც ალასანია ივანიშვილს დაუპირისპირდა, მან და მისმა თანაგუნდელებმა თანამდებობები დატოვეს. პოსტზე მხოლოდ თეა წულუკიანი დარჩა და იქიდან დაიწყო მეოცნებეობა.

„ოცნებაში“ იუსტიციის მინისტრი დიდად არ ეპიტნავებათ, მაგრამ საჯაროდ მის კრიტიკას არავინ ბედავს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ წულუკიანი არის მათი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი. მან საკმაოდ ბევრი საქმე გააკეთა და მომავალშიც გააკეთებს.

არჩილ თალაკვაძე აღშფოთებულია იმით, რომ გარკვეული მედიასაშუალებების მხრიდან იყო მსჯელობა, რომ მოეხდინათ ამ საკითხის პოლიტიზება.

– რეალურად მინისტრმა ძალიან ზომიერი კომენტარი გააკეთა. ეს არის ერთ-ერთი მიმდინარე, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა, ამ მომენტისთვის ამ საკითხზე შიგნით შეთანხმება მიღწეულია. აქ არ არის ღირებულებებსა და ფასეულობებზე საუბარი. გუნდში ამის გარშემო არსებობს ერთსულოვნება. თეა წულუკიანი არის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი. მან საკმაოდ ბევრი საქმე გააკეთა და მომავალშიც მიეცემა ასპარეზი, რომ გააგრძელოს საქმიანობა, – განმარტა არჩილ თალაკვაძემ.

წულუკიანთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პრემიერ-მინისტრმაც. მამუკა ბახტაძე ამბობს, რომ საკითხი, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, ამოწურულია.

– თეა ჩვენი გუნდის წევრია პირველი დღეებიდან. ის იყო მაშინ, როცა ყალიბდებოდა გუნდი და ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი იმ წარმატებაში, რომელიც ჩვენ გვაქვს. დიახ, აქვე მინდა გითხრათ, ინიციატივა, საკითხი, რომელზეც იყო აზრთა სხვადასხვაობა, დღეს აღარ დგას დღის წესრიგში. ჩემი, როგორც მთავრობის ხელმძღვანელის მოვალეობაა, შევაჯერო საკითხები და მივიღოთ გადაწყვეტილება. საკითხი შეჩერებულია, – აღნიშნა პრემიერმა.

ის თეა წულუკიანზე საუბრისას ჟურნალისტის კითხვამ გააღიზიანა: „სიტყვა ულტიმატუმს აქ არავინ იყენებს. ეს არ შეესაბამება ჩემი მართვის სტილს“, – თქვა მთავრობის მეთაურმა.

– ულტიმატუმს აქ არავინ აყენებს. აქ საკითხი ეხებოდა პროფესიულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობას და მოხდა ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიციების შეჯერება. მათ შორის, გათვალისწინებულ იქნა საუკეთესო პრაქტიკა და, ჩემი აზრით, ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით... თუ თქვენ გაქვთ იმის ილუზია, რომ საკითხებს დისკუსიის გარეშე ვიხილავთ, მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ასე არ არის. ძალიან ცხარე დისკუსიების შედეგია ყველა ის ინიციატივა, რომლებსაც ვდებთ საზოგადოების წინაშე, – აცხადებს მთავრობის მეთაური.

პრემიერი ამბობს, რომ ის მცირე მთავრობის კონცეფციის ერთგული რჩება.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება მცირე მთავრობის შესახებ და ჩვენ ვართ ერთგული ამ გადაწყვეტილების. მე მინდა, ყველას შევახსენო, რომ ჩვენ ძალიან მაღლა ავწიეთ თამასა, როდესაც წარვადგინეთ მცირე მთავრობის კონცეფცია და განვსაზღვრეთ ჭერი – 3.9% მთლიანი შიდა პროდუქტიდან, რომელიც უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების შენახვას გადამხდელების მხრიდან. ჩვენ ვრჩებით ამის პრინციპულად ერთგული, – აღნიშნა ბახტაძემ, რომელსაც საქართველოს მთავრობა თეა წულუკიანის გარეშე ვერც კი წარმოუდგენია.

– თქვენ წარმოგიდგენიათ ჩვენი გუნდი თეას გარეშე? მე ნამდვილად არ წარმომიდგენია. ის არის ღირსეული ადამიანი. მისი წვლილი იმ წარმატებაში, რომელიც ევროპასთან მიმართებით გვაქვს, ძალიან დიდია, – განაცხადა პრემიერმა.

სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ განუდგა?

მამუკა ბახტაძე ურჩ დეპუტატებს ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი

განხეთქილებებით დახუნძლულ „ქართულ ოცნებაში“ კიდევ ერთი განხეთქილება მწიფდება. გუშინ, 12 მარტს, ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილე აღნიშნეს. საზეიმო ღონისძიებას ხელისუფლების ყველა შტო ესწრებოდა. იქ მხოლოდ სალომე ზურაბიშვილი არ გამოჩენილა. არადა, საქართველოს პრეზიდენტო ღონისძიებაზე დაპატიჟებული იყო.

ამან გარკვეული ეჭვები გააჩინა. ეჭვების გაფანტვა მისმა პრესსპიკერმა ცადა, თუმცა ამ განცხადებამ ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა. პრეზიდენტის პრესსპიკერი ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილი ღონისძიებაზე მისვლას აპირებდა, მაგრამ შეუძლოდ გახდა.

შეუძლოდ ყოფნის მიუხედავად, პრეზიდენტმა ერევანში ოფიციალური ვიზიტი არ გადადო. სომხეთში ის დღეს გაემგზავრება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ზურაბიშვილი არც ისე ცუდად იყო, რომ პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილეს არ დასწრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ერევანში გამგზავრებას გადადებდა.

გუნდში არსებულ განხეთქილებაზე ბევრი საუბარი მოუხდა მთავრობის მეთაურს. ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ მამუკა ბახტაძე მკვეთრად გააქტიურდა. ამ დღეებში მან იმდენი განცხადება გააკეთა, რამდენიც მთელი პრემიერობის დროს არ გაუკეთებია.

მის გააქტიურებას ერი სხვადასხვა მიზეზით ხსნის. არის ვარაუდი, რომ ის პრემიერობიდან მიდის და მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარად იყრის კენჭს, პარლამენტში შესვლის შემდეგ კი, შესაძლოა, სპიკერადაც მოგვევლინოს.

საკანონმდებლო ორგანოში პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარის გაიმპიჩმენტებაზე უკვე ერთი წელია საუბრობენ. განსაკუთრებით აქტიურობენ „ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატები.

„ოცნებიდან“ წამოსულები იმასაც ამბობენ, რომ „ოცნებაში“ დარჩენილებმა იმ ფასეულობებს უღალატეს, რომლებითაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. მათ ბრალდებებს გუშინ, 12 მარტს, გააქტიურებულმა პრემიერმა უპასუხა.

– 2012 წელს ჩვენ ქართველმა ერმა დაგვიჭირა მხარი და მოვიგეთ არჩევნები ძალიან რთულ გარემოში. ამ არჩევნების მოგება ემყარებოდა ფასეულობებს, პრინციპებსა და იმ იდეოლოგიას, რომელიც უნდა გაგვეტარებინა, როცა ხელისუფლებაში მოვიდოდით. ბუნებრივია, ყველა, მათ შორის აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა დარჩეს ამ ფასეულობების ერთგული. თუ ვინმე არ დარჩება, ასეთი ადამიანების ადგილი ჩვენ გვერდით ვერ იქნება, – თქვა პრემიერმა.

მედიასთან საუბარში მთავრობის მეთაური „ოცნების“ გუნდში შესაძლო განხეთქილების არსებობას კატეგორიულად უარყოფს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილმა ხაზარაძეში პოტენციური საფრთხე დაინახა“

თორნიკე შარაშენიძე: „შსს-ში გახარიას ღარიბაშვილი ჩაანაცვლებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, მაკკეინის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა კურტ უოკერმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე ანაკლიის პროექტზეც ისაუბრა. რამდენად ემუქრება ამ პროექტს საფრთხე და თუ ფიქრობთ, რომ ასე მარტივად არ დათმობს დასავლეთი მის ჩაშლას?

– რა თქმა უნდა, არ დათმობენ, მაგრამ ახლა მათ სურთ გაარკვიონ, რეალურად რა ხდება. რატომ გადააყოლეს ქვეყანა და ეს პროექტი ხაზარაძეს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს უფრო მამუკა ხაზარაძესთან ბრძოლაა და არა – ანაკლიის პროექტთან.

– რუსეთის ფაქტორს სრულად გამორიცხავთ ამ პროცესში?

– მე რასაც ვუყურებ ამ მიმდინარე ამბებს, რუსეთისგან არ შემხვედრია საერთოდ ანაკლიის პროექტის ხსენებაც კი. მოვისმინე შეთქმულების თეორია, რომ ივანიშვილმა აბაშიძე დაიბარა, რომ კარასინთან გზავნილი წაეღო, ნუ გეშინიათ და ა.შ. ეს აბსურდია ჩემთვის, ამაზე ძალიან მეცინება. მე მაინც ამ ყველაფერს შიდა პოლიტიკურ ბრძოლას ვუკავშირებ და სხვას არაფერს.

– თუ ასეა, მაშინ ხაზარაძეში რა საფრთხე დაინახა ივანიშვილმა?

– პირველ რიგში ის დუეტი, რომელიც ხაზარაძემ თავის დროზე კვირიკაშვილთან შეკრა. მერე ივანიშვილმა გვითხრა, რომ კვირიკაშვილი ძლივს მოხსნა პრემიერობიდან, რომ მას პოლიტსაბჭოს მოწვევა დასჭირდა ამისთვის. უშუალოდ ამ პროცესს ვუკავშირებ ხაზარაძის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

– ამ ყველაფრის შემდეგ რამდენად რეალურია, რომ ხაზარაძე პოლიტიკაში წავიდეს?

– ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ხაზარაძე ცდილობს ივანიშვილთან შერიგებას. თუ აკვირდებით, ის ხიდებს ბოლომდე არ წვავს, რაც დიდი შეცდომაა. შეცდომაა, რადგან, ივანიშვილი თუ გადაწყვეტს რაღაცას, ბოლომდე მიჰყავს. შესაბამისად, რაც უნდა მოინდომოს ხაზარაძემ, მაინც წაგებული გამოვა ამ საქმიდან და ამიტომ ჯობია, რომ პოლიტიკაში წავიდეს.

– თუ პოლიტიკაში წავა, შეძლებს ის ე.წ. მესამე ძალის ფორმირებას, რომ კონკურენცია გაუწიოს „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც?

– ჩვენთან პოლიტიკაში ფინანსების დეფიციტია. მესამე ძალის მოთხოვნა არის, მაგრამ ფინანსების დეფიციტია. მამუკა ხაზარაძეს აქვს ფინანსები და, თუ მოინდომებს, მას აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს პოლიტიკური ცენტრის ფორმირება.

– ივანიშვილი ხაზარაძეში კონკურენტს ხედავს?

– პოტენციურ საფრთხეს ხედავს.

– ერთ-ერთ გადაცემაში თქვენ გაიხსენეთ, სააკაშვილი როგორ ეჭვიანობდა პატარკაციშვილზე. პარალელს ავლებთ?

– მილიარდერს ეშინია მილიონერის.

– კი მაგრამ, პოლიტიკაში ფული ხომ არ არის ყველაფერი?

– პოლიტიკაში ფული არ არის ყველაფერი, მაგრამ ბევრ რამეს განსაზღვრავს, მით უფრო საქართველოში.

– რამდენად აქვს ხაზარაძეს ქარიზმა? ან რამდენად იმუშავებს ის ფაქტორი, რომ ბანკირებმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გააღარიბეს?

– ქარიზმის რა გითხრათ, მაგრამ აღქმა უფრო ასეთი იქნება: გამოჩნდა ფიგურა, ძლიერი, შეძლებული, წარმატებული ბიზნესმენი. საქართველოში წარმატების მაგალითები მოსწონთ.

რაც შეეხება საქართველოში ბანკებსა და ბანკირებს, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბანკებს ამხელა პროცენტები უნდა ჰქონდეთ დაწესებული და ასეთი უნდა იყოს ბანკები ზოგადად, მაგრამ, მეორე მხრივ, არავინ აძალებს არავის სესხის აღებას. ხაზარაძე, პირველ რიგში,

მაინც წარმატების მაგალითია და მერე – ბანკირი, რომელიც ხალხს ყვლეფს.

თუმცა, ასე მარტივიც არ იქნება, რადგან პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილება. ამიტომ, თუ ის ამ ნაბიჯის გადადგმას მოინდომებს, გამოცდილ და ჭკვიან ხალხს უნდა მოუხმოს. სწორი გუნდი უნდა შეკრიბოს, ეს არის მთავარი, ამას რამდენად შეძლებს.

– პრემიერმა ბახტაძემ თქვა, მცირე მთავრობის ერთგული ვრჩებიო. ეს რა გზავნილი იყო?

– სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე.

– სამთავრობო ცვლილებები ხომ არ მწიფდება?

– თუ სამთავრობო ცვლილებები იქნება, თავად ბახტაძე აღარ იქნება თანამდებობაზე და, თუ ის აანონსებს მცირე მთავრობას, ეს კომიკურია. მე არ ველოდები სამინისტროების კიდევ შემცირებას.

– ბახტაძე ვინ შეიძლება ჩაანაცვლოს? ისევ გახარიამ, მიუხედავად მის ირგვლივ არსებული კონტექსტისა?

– ბოლოს და ბოლოს, კონტექსტი ხომ გაირკვევა?! ლონდონიდან ხომ ჩამოვა ექსპერტიზის პასუხი. მერე რატომაც არა. ამ მძიმე სიტუაციაში, მით უფრო, როდესაც წინ არჩევნებია მოსაგები, ძლიერი პრემიერი სჭირდება ივანიშვილს. ამ ეტაპზე ასეთი მხოლოდ გახარია ჩანს.

– წულუკიანის განცხადება მთავრობიდან შესაძლო წასვლაზე თქვენ როგორ გაიგეთ? თუმცა, მერე თქვა, ყველაფერი დალაგდა და ამაზე მხოლოდ მაშინ ვისაუბრებ, როცა თმა გამითეთრდება და „კოსას“ გავიკეთებო.

– ამ ქალს პირადი შეუთავსებლობა ჰქონდა ღარიბაშვილთან. ღარიბაშვილის დაბრუნება ნიშნავს, რომ მან უნდა გადაიბაროს გარკვეული სფეროები, მათ შორის ალბათ პროკურატურისა და სასამართლოების. ამის გამო მოხდა დაპირისპირება. თუმცა, წულუკიანის გაშვება ასეთი მარტივი არ არის.

– თუმცა, მზად იყო.

– ეჭვი მეპარება.

– როგორ ფიქრობთ, ღარიბაშვილი პარტიაში დარჩება თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლებს?

– ჯერ პარტიაში უნდა დაალაგოს სიტუაცია, თუმცა როგორ, არ ვიცი, შემდეგ გადაინაცვლებს.

– შეიძლება, ისევ შინაგან საქმეთა მინისტრი გახდეს, მით უფრო, თუ გახარია პრემიერის პოსტზე გადაინაცვლებს?

– დიახ, სწორედ ეს იქნება უფრო ლოგიკური. არა მგონია, ივანიშვილმა გახარიას შსს-ში თავისი კადრი დაატოვებინოს. ამით გახარია ძალიან გაძლიერდება, რასაც ივანიშვილი არ დაუშვებს. ამიტომ, ივანიშვილს თავისი ერთგული კადრი სჭირდება შინაგან საქმეთა სამინისტროში, ერთგული კადრი კი ღარიბაშვილია.

ამ გადაწყვეტილებით გახარიას გაანეიტრალებს და დააბალანსებს. თავის მხრივ, ეს გახარიასთვის დაქვეითება იქნება და არა – დაწინაურება. რამდენად წავა ამაზე გახარია, ვერ გეტყვით, რადგანაც ის ამბიციური პიროვნებაა.

სოსო ცინცაძე: „2020 წლამდე მთავრობაში ქირურგიულ ჩარევებს არ ველოდები“

იაგო ნაცვლიშვილი

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გადადგომის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არცთუ უსაფუძვლო გამოდგა. თეა წულუკიანმა მედიასთან დაადასტურა, რომ ის გვერდზე გაიწევა, თუ მისი პოზიცია გაზიარებული არ იქნება. თუმცა, რა საკითხზეა აზრთა სხვადასხვაობა გუნდში, ამაზე მინისტრმა არ ისაუბრა. მოგვიანებით პრემიერმა მამუკა ბახტაძემ დასმულ შეკითხვას ჟურნალისტებს რიტორიკული კითხვით უპასუხა: „თქვენ მთავრობა წულუკიანის გარეშე წარმოგიდგენიათ?!“

უნდა აღვიქვათ თუ არა წულუკიანის განცხადება ულტიმატუმად და რამდენად მოსალოდნელია სამთავრობო ცვლილებები? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს.

– როგორ აფასებთ იმ ვითარებას, რომელიც წულუკიანის გარშემო ხდება? წულუკიანი ხელისუფლებას ულტიმატუმის ენით ელაპარაკება?

– უკვე ქრონიკად იქცა ეს ვითარება. მე მგონი, უკვე მესამედ არის ასეთი მომენტი, როდესაც დგება რეალურად საკითხი წულუკიანის ყოფნა-არყოფნის თაობაზე და წულუკიანი ზოგჯერ რბილად, დიპლომატიურად, ზოგჯერ კი არადიპლომატიურად ხელისუფლებას უმადურობაში ადანაშაულებს. როცა გჭირდებოდით, მაშინ სხვანაირად საუბრობდით და ახლა აღარ გჭირდებითო – დაახლოებით ამ სტილში ელაპარაკება.

მთავარი ის არის, რომ სასამართლო სისტემის ირგვლივ მიმდინარე პროცესი წულუკიანს არ ახასიათებს, როგორც წარმატებულ მენეჯერ მინისტრს. ვინაიდან მისი ეს ტალღები, არც კი ვიცი, მერამდენე ტალღაა... ეს ტალღები ალბათ უკვე ცუნამიშიც გადაიზარდა.

წულუკიანის მთავარი საზრუნავი რა იყო? სასამართლო სისტემა, ხომ? მოვიდა თუ არა, დაიწყო ეს ტალღები. რაღაც კეთდებოდა, რის შესახებაც მოსახლეობა საქმის კურსში ნაკლებად იყო. მეშვიდე წელს ირკვევა, რომ თურმე კრიტერიუმებიც არ არის დანერგილი.

– ეს აყენებს წულუკიანის პასუხისმგებლობის საკითხს?

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ წულუკიანმა რაღაც მომენტში სასამართლო რეფორმის ტალღების სადავეები ხელიდან გაუშვა.

– ხომ არ გგონიათ, რომ უახლოეს მომავალში მაინც დადგება წულუკიანის გადადგომის საკითხი? კულუარებში არის იმაზეც საუბარი, რომ მას ღარიბაშვილი ჩაანაცვლებს.

– მე არა მგონია, რომ 2020 წლამდე ასეთი ქირურგიული ჩარევები მოხდეს, იმიტომ, რომ წულუკიანი არ არის ხელწამოსაკრავი ფიგურა, „ოცნების“ სათავეებიდან მოდის. თავიდან იყო ალასანიასთან, შემდეგ დარჩა „ოცნებაში“. ის მოვიდა ძალიან კარგი რეპუტაციით. „ოცნების“ ერთ-ერთი ამომავალი ვარსკვლავი იყო.

– ამ რეპუტაციიდან გამომდინარე ხომ არ ფიქრობთ, რომ მას თანამდებობის გარკვეულმა პირებმა რეფორმების სრულფასოვნად გატარებაში ხელი შეუშალეს?

– არა. უბრალოდ, მგონია, რომ წულუკიანი მოუმზადებელი შეხვდა ვითარებას. მან ვერ გათვალა, ვისთან ექნებოდა საქმე. მხედველობაში მყავს მოსამართლეები.

– მათგან წინააღმდეგობას არ ელოდა?

– დიახ, მე მგონი, არ ელოდა ასეთ ფარულ წინააღმდეგობას. რაც მე მახსოვს, ღიად არც იუსტიციის საბჭო და არც არავინ დაპირისპირებია. საერთოდ წულუკიანის მიმართ სულ კულუარულად ცხადდებოდა რაღაც პრეტენზიები. ჩვენ არ გვსმენია, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან წულუკიანის მიმართ პრეტენზიები გამოცხადებულიყო. რატომღაც სულ ერიდებოდნენ ამას. ეტყობა, ამის საფუძველიც ჰქონდათ.

სულ ჭორების დონეზე კვებავდნენ საზოგადოებას, წულუკიანმა ეს თქვა და ის თქვაო. წულუკიანი დაემუქრა... სულ ასეთი ჭორები იყო.

ახლა კი, როცა არცთუ ისე დიდი დრო რჩება 2020 წლის არჩევნებამდე, არა მგონია, რომ ამ წელიწად-ნახევარში ქირურგიული ჩარევა იყოს.

– საუბარია გახარიას შეცვლაზე, ეკონომიკის მინისტრის შეცვლაზეც. რა მოლოდინი გაქვთ?

– ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ სამთავრობო ცვლილებებზე მინისტრთა კაბინეტში, ჩვენ – საზოგადოება და ჟურნალისტებიც – ამოვდივართ კლასიკური ფაქტიდან როგორი რეპუტაცია აქვს ამა თუ იმ მინისტრს, როგორი მენეჯერია, საზოგადოება როგორ იცნობს და ა.შ. ამიტომ არასოდეს ყოფილა ჭორი სერგეენკოს მისამართით. იყო მინისტრი კახი კახიშვილი და არასოდეს მის მიმართ არც პრეტენზია და არც ჭორი არ ყოფილა. მაგრამ, როდესაც გამოდის ეკონომიკის მინისტრი და გვეუბნება, კარგად ცხოვრობთ, მაგრამ, შეგრძნება გაქვთ ისეთი, თითქოს ცუდად ცხოვრობთო, ეს გინესის რეკორდების წიგნში შევა, ეს რომ რომელიმე ევროპელ მინისტრს ეთქვა, ფრაზა დამთავრებული არ ექნებოდა, რომ უკვე გადაყენებული იქნებოდა. ჩვენთან ხომ ხედავთ, რაც ხდება, ყველა ელოდება არჩევნებს. ეტყობა, მიღებულია უმაღლეს დონეზე ასეთი გადაწყვეტილება.

სოზარ სუბარი ისეთი დაჯერებით ამბობდა, რომ არჩევნებამდე არავინ შეიცვლება და არჩევნების მერე ვნახოთო, ეტყობა, ზემოდან მოდის, რომ არჩევნებამდე „ოცნება“ ამ გუნდმა უნდა მიიყვანოს, იმიტომ, რომ ახლა ოპოზიციას ასეთ „სატოპკეს“ არავინ აუწევს. მაგრამ ამას ვლაპარაკობ კლასიკური პოლიტოლოგიის თვალსაზრისით. თუმცა, ჩვენთან ყველაფერი ეწინააღმდეგება, თუ გნებავთ, დაწერილ და დაუწერელ კანონებს. მხედველობაში მაქვს პოლიტოლოგიის, პოლიტტექნოლოგიის, თუ გნებავთ, დიპლომატიის კანონები.

ხომ ხედავთ, ჩვენმა პრეზიდენტმა უკვე ნახა თავისი ნიშა.

– რას გულისხმობთ?

– დაიწყო მოგზაურობა და უკვე გადაგვამტერა აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც. ახლა ჩავა სომხეთში. დღის წესრიგშია მემორიალის მონახულება. ის არ გვეყოფა, სომხეთი რომ გაგვიბრაზა ფრაზით, რომ ოკუპირებულია. რასაკვირველია, ეს ასეა, მაგრამ ამას ხმამაღლა არავინ ყვიროდა. ახლა ჩავა მემორიალთან, ყვავილებს მიიტანს და მერე ნახეთ, აზერბაიჯანული პრესა როგორ დადგება ყურებზე.

ამიტომ ეს კანონზომიერება, რომ ეს ასე მოხდება, არ ემყარება ობიექტურ ინფორმაციას. ძირითადად კულუარულ ინფორმაციებზე დაყრდნობით გვიწევს მსჯელობა. ამან განაცხადა, ჭორად გამოვიდა და ა.შ. ახლა რატომ განაცხადა ეს იმავე წულუკიანმა? ეს ნიშნავს, რომ რაღაც საფუძველი აქვს, მაგრამ ესეც ვარაუდია.

ჩვენთან პროგნოზები ძალიან ჭირს. ნებისმიერი პროგნოზი მაშინ არის გამართლებული, როდესაც ის რაღაც მეცნიერულ ანალიზს ეყრდნობა, ხოლო თითიდან გამოწოვილი და კაბინეტიდან გამოჟონილი ნახევრად ჭორი, ნახევრად სიმართლე პროგნოზი არ არის. ამიტომ მიჭირს პროგნოზი.

კი, ასეთი ფაქტების გამო ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ნებისმიერი მინისტრი თვითონვე გადადგებოდა, როდესაც 7 წლის თავზე ისევ კრიტერიუმებზეა ლაპარაკი, როგორი უნდა იყოს მოსამართლე. ამაზე მეტი კატასტროფა რა უნდა მოხდეს?! თურმე ხელისუფლებამ ამ 7 წლის განმავლობაში ისიც არ იცოდა, როგორი მოსამართლე უნდა ჰყოლოდა და ახლა ადგენს ამას.

მამუკა მუმლაძე: „500 ლარზე მეტია ვაუჩერზე, რაც სრულიად საკმარისია ტაქსის გადასალებად“

„ორთაჭალის ტაქსებმა საერთაშორისო რეისების გამო მწვანე ნარგავების სივრცე საპირფარეშოდ აქციეს“

ლელა მდივანი

რა ეწერა მერიის მიერ ტაქსის მძღოლებისთვის გაგზავნილ წერილში, რატომ ითხოვენ ტაქსის მძღოლები პირვანდელ საპარკინგე ადგილზე გაჩერების უფლების დაბრუნებას, მაშინ როცა მერიამ მათ უფასო ადგილები უკვე გამოუყო, რატომ აღიქვამს ორთაჭალის სადგურის წარმომადგენლობა ტაქსის მძღოლებს კონკურენტებად და რა მისწერეს მათ სახმელეთო სატრანსპორტო სამსახურს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი **მამუკა მუმლაძე** საუბრობს.

– ბევრი ვერსია გაჩნდა ორთაჭალის საპარკინგე ადგილის შეზღუდვასთან დაკავშირებით. რატომ მიიღო მერიამ ეს გადაწყვეტილება, რომ ავტომანქანის გასაჩერებელი ადგილები შეეზღუდათ ტაქსის მძღოლებისთვის?

– ორთაჭალის სათადარიგო ზოლი, სადაც იყო საპარკინგე სივრცე, გამოყენებული იყო არა პარკინგის მიზნებისთვის, არამედ ტაქსების მიერ საერთაშორისო გადაზიდვისთვის. საპარკინგე სივრცის გამოყოფა ხდება იმისთვის, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმსვლელი, ვიზიტორი იქნება თუ ოფისში მომუშავე ადამიანი, თავისი პირადი ავტომობილი გააჩეროს. პარკინგის დანიშნულება ეს არის. რეალურად ეს პარკინგი, რომელიც არის ფართო და ყველასთვის გამოსაყენებელი, სხვა მიზნებით გამოიყენებოდა. საერთაშორისო გადაყვანისთვის ტაქსის მძღოლებს გამოყოფილი ჰქონდათ როგორც ტაქსის მანიშნებელი, ისე საერთაშორისო გადაზიდვის აღმნიშვნელი აბრა, რაც ამ ნაწილში სრულიად უკანონო იყო. ჩვენ მივიღეთ წერილი უშუალოდ კრწანისის გამგებლისგან, რომელსაც მიმართა ავტოსადგურის ხელმძღვანელობამ, რომ ხდება უკანონო გადაზიდვები, მგზავრის მომსახურება და რომ უკანონოდ შეჭრა ხდება მათ ფუნქციამოვალეობებში. დამატებით ამ ქმედებამ იქ მოწყობილი სკვერის გაფუჭება, განადგურება და საპირფარეშოდ ქცევა გამოიწვია და, შესაბამისად, გამგებელმა მომმართა, გთხოვთ, მიიღოთ ზომები რამდენიმე ფაქტორის გამო.

შესაბამისად, ვინაიდან საპარკინგე ადგილს თავისი ფუნქცია ჰქონდა დაკარგული, გავაუქმეთ. ამის შემდეგ აღარ ყოფილა პრეტენზიები. ერთი ის იყო მძღოლებისგან, გთხოვთ, პირველადი აღვიდგინეთო, ამის მერე ჩვენ ხომ შემოვიღეთ თბილისში ტაქსებისთვის ნებართვა და მათთვის უფასო ადგილები. მაშინ იყვნენ მოსული მძღოლები თხოვნით, ტაქსებისთვის განკუთვნილი უფასო ადგილები იქნებ გამოგვიყოთო. პირველივე განცხადებაზე, ზუსტად იმ ლოკაციიდან, სადაც ტაქსის მძღოლები პარკინგს იყენებდნენ, 25 მეტრია დაშორებული, შეგვიძლია გადავზომოთ, პირველ ეტაპზე 10 საპარკინგე, უფასო დგომის ადგილი დავუხაზეთ. ამის შემდეგ მძღოლებმა კიდევ მოგვმართეს, გთხოვთ, ეს კი არის 25 მეტრში, მაგრამ, სადაც ვიყავით, იქნებ იქაც გამოგვიყოთ რამდენიმე ადგილიო. მათ მოთხოვნით, ოთხ ადგილზე იყო საუბარი. ჩვენ ვუთხარით, იმ შემთხვევაში გამოგიყოფთ ადგილს, თუ მხოლოდ თქვენი ნებართვის ფარგლებში (რომ ქალაქში გადაადგილება განახორციელოს) მომსახურების მიზნისთვის გამოიყენებთო და დაგვთანხმდნენ ამაზე. ჩვენც კიდევ 2 ადგილი დავუმატეთ იქ, სადაც იყო მათი ძველი საპარკინგე ადგილი და ახლა წამოვიდა უფრო დიდი მოთხოვნა, პირველადი მდგომარეობა აღგვიდგინეთო. პირველადი მდგომარეობის აღდგენას არ მივიჩნევთ მიზანშეწონილად, ვინაიდან მიმდებარედ და იქვე 12 ადგილი უფასო დგომის გავუკეთეთ. გაცილებით კარგი მდგომარეობა შევუქმენით, ვიდრე ჰქონდათ.

– გასაგებია თქვენი არგუმენტები, თუმცა მძღოლებს მიაჩნიათ, რომ ამ შეზღუდვის მიზეზი გადაადგილება არ არის, რადგან ამის შესახებ იმ წერილის პასუხად, რომლითაც ტაქსისტებმა მერიას მიმართეს, არაფერი ეწერა და ნაცვლად ამისა, წერილში ამ ადგილზე გაზონის მოწყობაზე იყო საუბარიო. რატომ არ იყო თქვენი განცხადება და წერილის შინაარსი იდენტური?

– მე ვეძებე ის დოკუმენტი, რომელიც ააფრიალეს. მერიიდან გაგზავნილი წერილები ვერ ვნახე. ჩემგან გაგზავნილ არც ერთ წერილში არ წერია გამწვანების შესახებ ინფორმაცია. გამწვანების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთ არგუმენტად მოყვანილი აქვს კრწანისის გამგებელს, რომელმაც თქვა, გთხოვთ, ამა და ამ მდგომარეობების გამო მიიღოთ ზომებიო. ჩხარტიშვილმა რა ააფრიალა, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავი. აქ მაქვს ყველა წერილი, ვეძებდი და ვერ ვნახე.

– აბა რა ეწერა მერიის მიერ გაგზავნილ წერილებში?

– ამ წერილებში მიწერია, რომ მძღოლების მოთხოვნა გავითვალისწინე და დავაკმაყოფილე უკეთესი მდგომარეობით. ადრე თუ პარკინგისთვის ფული უნდა გადაეხადა მძღოლს, დღეს გავუკეთე უფასო პარკინგი, მაგრამ მათი მიზანი სხვაა. საპარკინგე ადგილს საერთაშორისო გადაზიდვისთვის იყენებდნენ უკანონოდ და პირველადი მდგომარეობის დაბრუნება უნდათ. ეს კი გამორიცხულია. ადგილები ხომ უნდოდათ, რომ თავიანთი ავტომობილები გაეჩერებინათ და იქ მდგარიყვნენ?! ჰოდა, იქ გავუკეთეთ ზუსტად უფასო პარკინგი. მართალია, 4 ადგილის მოთხოვნა ჰქონდათ, მაგრამ 2 გავუკეთეთ და მის მიმდებარედ 25 მეტრში 10 ადგილი. რეალურად, მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პარალელურად მოწესრიგებულია ის ცუდი მდგომარეობა, რომელიც იყო.

– ისინი ამბობენ, რომ იძულებულები არიან, მანქანები ავტოსადგურის ტერიტორიაზე შეიყვანონ და ყოველ შესვლა-გამოსვლაზე 2-2 ლარს ახდევინებენ.

– ნუ შეიყვანენ. იქიდან 25 მეტრში ჩვენ ხომ გავუკეთეთ 10 ადგილი. ეგ პოზიცია იქნებოდა გამართლებული, მე რომ ერთი ადგილიც არ გამომეყო. ერთ ადგილას 10 ადგილი გამოვუყავი, მეორეგან, ავტოსადგურის ცხვირწინ 2 ადგილი. საბჭოს მოედანზე რომ მიხვიდეთ, ძალიან მარტივად ნახავთ, რომ მძღოლებს ერთი გამსვლელი ლოკაცია აქვთ ამორჩეული გაჩერებასთან ახლოს და დანარჩენი მანქანები, 30 მანქანამდე დგას ირგვლივ, დგანან სხვადასხვა ადგილებზე. 1 მანქანა როგორც კი გავა ადგილიდან, მას შემდეგ, რაც კლიენტს აიყვანს, მეორე მანქანა ენაცვლება ხოლმე. მათ შეუძლიათ, ეს პრინციპიც გამოიყენონ. მე, ფაქტობრივად, ეს სისტემა შევუქმენი, რომ სალაპარაკო არ ჰქონდეთ, ადგილები საერთოდ წაგვართვესო.

მათ სხვა პრობლემა აქვთ ავტოსადგურთან. ავტოსადგური მათ უყენებს პრეტენზიას და, როგორც მე ვიცი, ვისი პრეროგატივაცაა, სახმელეთო სატრანსპორტო სამსახურს მიმართეს, რომ ჩვენ ვართ ოფიციალური ავტოსადგური, საიდანაც კეთდება საერთაშორისო რეისები, მაგრამ ჩვენ მიმდებარედ არიან კერძო ტაქსები, რომლებიც უკანონოდ ახორციელებენ საერთაშორისო გადაზიდვებს.

– რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ მერიასა და ავტოსადგურის წარმომადგენლობას შორის კორუფციული შეთანხმება არსებობს, რამდენად ლოგიკურია ეს?

– ეს არის აბსოლუტური ტყუილი. ავტოსადგურის ფუნქციონირების წესსა და რეგლამენტს თუ ნახავთ, იქ არის მოთხოვნები, რომლებსაც ავტოსადგური აკმაყოფილებს, რომ საერთაშორისო რეისები განახორციელოს. ელემენტარულს გეტყვით, საერთაშორისო რეისი საიდანაც ხორციელდება, ვალდებულებაა, რომ იქვე ჰქონდეს საპირფარეშო, რომ მგზავრმა თავი მოიწესრიგოს იმ რეისში წასვლამდე. ეს ლოგიკურიცაა და წესშიც წერია. აღნიშნულმა ტაქსებმა, საერთაშორისო რეისების გამო, მიმდებარე ტერიტორია, მწვანე ნარგავების სივრცე საპირფარეშოდ აქციეს. ვალდებულება აქვს აღებული კრწანისის გამგებელს, მე ველაპარაკე. სკვერის გაკეთება რატომ არ დაიწყეთო და ერთ-ერთი მომენტი სწორედ მისი მოწესრიგება იყო. პირობა გვაქვს აღებული, აპრილის თვეში გამოცხადდება ტენდერი და მწვანე ნარგავების სივრცე, რაც არის სადგურის გასწვრივ, ყოფილა სახელმწიფო ქონების მართვის. ტენდერი როცა გაიხსნება, ეს სკვერი პროექტიზებულია და დაგეგმილია, როგორ რ უნდა მოწესრიგდეს. რეალურად, ჩვენ ანალოგიური მოწესრიგება გავაკეთეთ სხვადასხვა ადგილზე იმის გამო, რომ კონკრეტული ქუჩა მოწესრიგებულიყო. შევცვალეთ ან გავაუქმეთ პარკირებები და დგომის მეთოდები შევცვალეთ. რეალურად, იმ ტაქსებისგან შექმნილი იყო სისტემური ვაგზალი, რაც მოიშალა, მაგრამ ტაქსისტებისთვის იქვე გაკეთდა ცივილიზებული ტაქსის უფასო დგომის ადგილები.

– ისინი მერიას დროს შაბათამდე აძლევენ, თორემ აპირებენ, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებთან ერთად ფართომასშტაბიან აქციები გამართონ. გამოდის, მათთან არანაირ კონსულტაციებში აღარ ჩაერთვებით.

– მე გეტყვით კონკრეტულად. მათი მოთხოვნები ზუსტად ისე, როგორც მათ უნდოდათ, არ დაგვიკმაყოფილებია, მაგრამ დავაკმაყოფილეთ ნაწილობრივ იმ ლოკაციაზე, სადაც მოთხოვნა ჰქონდათ და მის მიმდებარედაც. მაშინ მეც უნდა მოვუწყო მაგათ აქცია, რატომ დაარღვიეთ პირობა, რატომ არღვევთ კანონს და რატომ იყენებთ ქალაქისთვის განკუთვნილი ტაქსის მომსახურებისთვის გამოყოფილ ადგილს საერთაშორისო მიზნებისთვისო. გამცენ პასუხი. უამრავი ფოტომასალა მაქვს. ყოველდღე გავდივართ და მონიტორინგს ვაკეთებთ, რომ მათ ტრაფარეტები აქვთ განთავსებული – „ერევანი“. ეს აკრძალულია და სანებართვო პირობებში არ ჯდება. შესაბამისად, მოვუწოდებ, კანონს ნუ არღვევენ, დაემორჩილონ და მათთვის უკეთესი პირობები შეიქნება.

– ლაშა ჩხარტიშვილმა თქვა, რომ უკვე ბევრმა ტაქსის მძღოლმა მოგვმართა, რომ მერიის მიერ გაცემული ვაუჩერი არასაკმარისია მანქანის გადასაღებად. რა თანხაა ასახული ვაუჩერზე, რომ მძღოლებს საკუთარი სახსრებით უწევთ თანხის დამატება?

– მარტივ შედარებას მოვიყვან. თქვენ ალბათ იყენებთ მანიკიურს, ხომ?! რომელსაც ფრჩხილებზე ვისვამთ. ესეც საღებავია ერთგვარი. თქვენთვის შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს და მოინდომოთ ბრენდული საღებავი, რომელიც შეიძლება 5 ან 10 ლარი ღირდეს. მეც ვიყიდე იმ დღეს კარგი ხარისხის, მანქანების კოლექციია მაქვს და იმის შეღებვა მინდოდა. გადავიხადე 3 ლარი. სხვაგან კი 1 ლარი ღირდა ეს მანიკიური. თუმცა, რომ შეხვიდე, მაგალითად, „ისი პარისში“, იქ შეიძლება 30 ლარი გადაგახდევინონ. ვიღაცისთვის შეიძლება საღებავის ნაწილი არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ არგუმენტებით, რომლებიც ახლა მე თქვენ მოგიყვანეთ. ამ ნაწილშიც, მაგალითად, ლიმუზინები იღებება ზღვაში, რომ მტვერი არ დაედოს. იმის ღირებულება გაცილებით დიდია და ვიღაცის მოთხოვნაა, რომ ზღვაში უნდა შეღებოს და ასევე იღებება ქალაქშიც, სადაც მტვერია და ის მანქანისთვის შეუმჩნეველია. რა თქმა უნდა, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, არ იქნება საკმარისი, მაგრამ ის, რასაც პრაქტიკაში ვიყენებთ, მასობრივი გამოყენების საგანია და ბაზრის კვლევით არის დადგენილი, არის მაღაზიები, ვერ დავასახელებ, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ კონიაკის დასახლებისკენ არის ერთი, სათადარიგო, რაც გჭირდება შეღებვისთვის, შეგიძლია, ის მასალები შეიძინო. 300 ლარს არ სცდები, მასალები რომ იყიდო. ამას ემატება 200 ლარი ხელოსნის ფული, რომელიც ამას შეგიღებავს. მაქსიმუმ, თუ გინდა, ამ ვიზუალში მოხვიდე და გარედან შეღებო, რაც არის ვალდებულება, ეს თანხა სავსებით საკმარისია, მაგრამ ვიცი, რომ 500 ლარზე მეტი თანხაა ვაუჩერში.

დავით მესხიშვილი: „13 ივნისის ტრაგედია, შესაძლოა, მალე განმეორდეს, უბედური შემთხვევის მთავარი ცენტრი კი ვარაზისხევი გახდება“

– 13 ივნისის ტრაგედია მალე განმეორდება, უბრალოდ, შემდგომი თარიღი უცნობია. ამჯერად მასშტაბი და მოცულობა ბევრად დიდი იქნება, უბედური შემთხვევის მთავარი ცენტრი კი ვარაზისხევი გახდება, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბარში ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი.

მესხიშვილის ინფორმაციით, გუშინ ღამე ჟვანიას 12 ნომერთან მიმდინარე მშენებარე კორპუსის ტერიტორიაზე კლდე ჩამოინგრა. ფაქტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, ადგილობრივების თქმით, იყო პანიკა, შიში და დიდი რისკი იმისა, რომ ვინმე დაშავებულიყო.

დავით მესხიშვილი დეტალებზე „კომერსანტთან“ საუბრობს:

– გუშინ დღის განმავლობაში ჟვანიას ქუჩაზე მცხოვრებლებმა შეამჩნიეს ბზარი და გამოიძახეს თბილისის მერიის ზედამხედველობა და საპატრულო პოლიცია. მერიამ უბრალოდ თვალი შეავლო ტერიტორიას და წავიდა. პატრულმა კი, როდესაც ეზოს შიგნიდან ავტომობილების ევაკუაცია დაიწყო, კლდე ჩამოინგრა. სასწაულებრივად გადავრჩით, რომ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ამ კონკრეტული მშენებლობის გამო იშლება კლდე და მოძრაობს სახლები, მიწა. თავის დროზე კი ამ მიწასთან სიახლოვეს მრავალწლიანი კერძო სახლებიც ჩამოცოცდა.

როგორც „კომერსანტმა“ გაარკვია, არსებულ ტერიტორიაზე მრავალსართულიან კორპუსს უკრაინული კომპანია „ინვესტ მენეჯმენტ გრუპი“ აშენებს, თუმცა, მესხიშვილის თქმით, პრობლემა მხოლოდ ერთ კონკრეტულ მშენებლობაში არ არის. ჟვანიას ქუჩა და მთლიანად ვარაზისხევი ზუსტად ის ლოკაციაა, სადაც 13 ივნისის ტრაგედია, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს.

– ჟვანიას ქუჩაზე და მთლიანად ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე ინტენსიურად შენდება მრავალსართულიანი კორპუსები. პრობლემა იმაშია, რომ ეს ხდება მდინარის კალაპოტში, თანაც მდინარე ვარაზისხევი მოთავსებულია 10-ჯერ უფრო მცირე ზომის სადინარში, ვიდრე მდინარე ვერე. თანაც, ამ შემთხვევაში მდინარეს ახასიათებს ძლიერი წყალმოვარდნები და ობიექტზე ინტენსიურად წვება მეწყერი. საუბარია ზუსტად იმავე ქედზე, სადაც რამდენიმე წლის წინ მეწყერი ჩამოწვა და ბენზინგასამართ სადგურზე ხალხი დაიხოცა. ზუსტად ამ აქცენტებს სვამენ გეოლოგები, ამიტომ ძალიან დიდი საშიროება არსებობს, რომ ვარაზის ხევზე 13 ივნისის ტრაგედია განმეორდეს ერთი განსხვავებით – მოცულობა და მასშტაბი იქნება ბევრად დიდი. განადგურება ემუქრება შატბერაშვილის ქუჩას, ჟვანიას ქუჩას თავის კეკელიძის ჩათვლით და მთლიანად ვარაზისხევის არეალს, – ამბობს მესხიშვილი.

ტრანსპორტირებისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე პასუხისმგებლობას თბილისის მერიასა და კახა კალაძეს აკისრებს. მისი თქმით, უწყება გულგრილია ამ თემის ირგვლივ. ზუსტად ამაზე მეტყველებს იმ ფაქტიც, რომ ჟვანიას ქუჩის 12 ნომერში მიმდინარე მშენებლობაზე ორჯერ შეაჩერეს მშენებლობა აქ დაწყებული საშიში გეოლოგიური ცვლილებების გამო, თუმცა ვითარება მაინც არ შეიცვალა. უკრაინული კომპანია „ინვესტ მენეჯმენტ გრუპი“ კვლავ აგრძელეს ოპერირებას.

– თავის დროზე მერია ამბობდა, რომ ამ კომპანიას ისევ მისცა მშენებლობის გაგრძელების უფლება, რადგან საბუთები მოაწესრიგა. ახლაც, სავარაუდოდ, იმავე განცხადებას გააკეთებს კახა კალაძე. არადა, საქმე საბუთებსა და დოკუმენტაციაში ხომ არ არის?! ფაქტია, კლდე ინგრევა, მეწყერი წვება და მოსახლეობა მუდმივ შიშში ცხოვრობს. ამიტომ მოსალოდნელ ტრაგედიაზე და უბედურებაზე მთლიანად პასუხისმგებლობას ვაკისრებთ კახა კალაძეს, – აცხადებს დავით მესხიშვილი.

თავად დედაქალაქის მერია მომხდარი ფაქტის გამომწვევ მიზეზად მეწყერსაშიში ზონისა და არასტაბილური გეოლოგიური მდგომარეობის ნაცვლად მილიდან წყლის გაჟონვას ასახელებს:

– ჟვანიას ქუჩაზე ნიადაგის ჩამოშლა დაზიანებული მილიდან წყლის გაჟონვამ გამოიწვია, – ამბობს თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილი.

მისი თქმით, ადგილზე გუშინვე მივიდნენ მუნიციპალური ინსპექციისა და გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები.

– უტყუარი ინფორმაცია გაგვაჩნია იმის თაობაზე, რომ დაზიანებული იყო GWP-ის წყლის მილი. დროთა განმავლობაში წყალი ჟონავდა, გაჯერდა ნიადაგი, რამაც გამოიწვია ეს პროცესები, ასევე, დაზიანდა გაზის მილიც. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, რათა ყველა პრობლემა აღმოიფხვრას.

– იმ მშენებლობებზე, რომელიც იქ იყო დაწყებული, ჩვენ ხელმეორედ ჩავატარეთ გეოლოგიური ექსპერტიზები და კონკრეტული პრობლემა გეოლოგიის კუთხით ვერ აღმოვაჩინეთ. თუმცა ამის გარდა, ჟვანიას ქუჩას გააჩნია განაშენიანების ინტენსივობისა და ტრანსპორტის კუთხით ძალიან დიდი პრობლემა, შესაბამისად, ჩვენს პერიოდში არცერთი ნებართვა არ გაცემულა ამ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა შეთანხმებული პროექტები და განაშენიანების რეგულირების გეგმები. გარდა ამისა, ახალი გენგეგმის მიხედვით, ამ ტერიტორიას ედება ისტორიული ლანდშაფტის ზონა, რაც გამორიცხავს ახალი მშენებლობების წარმოებას, – განაცხადა ილია ელოშვილმა.

კომერსანტი

ანზორ აბრალავა: „გაუგებარია ღარიბაშვილის დაბრუნების გამო ატეხილი ისტერიკა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ქართული ოცნება“ თავის რიგებს აძლიერებს და საზოგადოებას ზოგიერთ ახალ ინიციატივას სთავაზობს. მიუხედავად ამისა, ხალხში მმართველი პარტიის მიმართ ნდობა არ იზრდება. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

ანზორ აბრალავა:

– გეთანხმებით იმაში, რომ ხალხს უიმედობა დაეუფლა. ქვეყანაში პრობლემები არ ილევა. ამაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება. „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი პარტია, უფლებამოსილია, განსაზღვროს თავისი სტრატეგია, მოახდინოს ადამიანური რესურსების გადაადგილება. ერთი რამ არ მესმის – რატომ მოჰყვა ირაკლი ღარიბაშვილის პარტიაში დაბრუნებას გაუგონარი გნიასი. პარტიაში ზოგი გადაადგილდება, ზოგი დაბრუნდება. ამიტომ, გაუგებარია, ღარიბაშვილის დაბრუნების გამო ატეხილი ისტერიკა.

– ფიქრობთ, რომ ამაზე ისტერიკა ატყდა?

– რასაკვირველია. შეხედეთ, რა დღეში არიან ისინი, ვისაც ეს არ მოეწონა. ეს ხალხი ერევა სხვის საქმეში, იმაში, რაც პარტიის შიდა საქმეა. ქვეყანაში რატომღაც ერთმა ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი, მათ შორის ის, ვინ წავა და მოვა მმართველ პარტიაში, ვინ დარჩება პოლიტიკაში. მარტო თვითონ უნდათ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ველზე ყოფნა.

ეს სხვა არაფერია, თუ არა უცნაური სახის დიქტატურა. დიქტატურა მარტო ის კი არ არის, რაც თავის ქვეყნებში იაკობინელებმა და კრომველმა ჩამოაყალიბეს! ჩვენთან მოქმედებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და რუსთავი 2-ის დიქტატურა. ეს ჯგუფი ყველაფერს განაგებს და ადგენს წესებს ყველა დარგში. ეს ადამიანები, რომლებიც არ გამოირჩევიან წიგნიერებით და ზრდილობით, თავს ესხმიან სხვებს. ჭორები და პიროვნებების შეურაცხყოფა მათი დამკვიდრებულია. ეს ხალხი თავს აფარებს პოლიტიკურ პარტიას, თითქოს პარტია თავშესაფარი იყოს.

– რომელ პარტიას?

– ნაციონალური მოძრაობა, მისი განშტოებები და სატელიტები არიან ბევრი დამნაშავის შეკედლების ადგილები. ქვეყანაში მოქმედებს ორგვარი სამართალი – ერთი პარტიულებისათვის, მეორე – ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის. ნაცმოძრაობასთან დაკავშირებულ ბოროტმოქმედებს სასჯელი არ ემუქრებათ.

– ბოლო დროს ქვეყანაში საგრძნობლად იმატა დანაშაულმა, მათ შორის მძიმე ორგანიზებულმა დამნაშავეობამ. ეს ამ პარტიების ბრალი არ უნდა იყოს.

– ეს იმ ქაოსის ბრალია, რომელიც შეიქმნა. ბევრი მიმართულებით განუკითხაობაა, სახელმწიფო მანქანა, სტრუქტურები ფაქტობრივად არ მუშაობენ. ხალხი შერჩევით სამართალსაც ვერ ეგუება. ყველანაირი დამნაშავეობის წინააღმდეგ მისაღებია ზომები. რასაც ახლა ვიტყვი, დანაშაულად არ ითვლება, თუმცა უამრავ ადამიანს აზიანებს.

– რას გულისხმობთ?

– ცილისწამებასა და შეურაცხყოფაზე უნდა იყოს რეაგირება და სასჯელი. მსგავსი იდეა პრეზიდენტმა რომ წამოაყენა, ამაზე ვაი-უშველებელი ატყდა.

– ეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაა.

– ვისაც თავს ესხმიან, იმას არ სჭირდება თავისუფლება და დაცვა? სენეკა თავისუფლების არსებობას ეჭვის ქვეშ აყენებდა. ნებისმიერი საზოგადოება კანონის ჩარჩოებშია ჩაყენებული. აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს. საქართველოში სიტყვის სრული თავისუფლება აქვს იმ ჯგუფს, რომელსაც მძევლად ჰყავს ქვეყანა აყვანილი. სხვებს თავისუფლება არ ეხება. ეს ჯგუფი განათლებაშიც მოიკოჭლებს, მაგრამ ყველას ჭკუას ასწავლის.

– განათლებაში და განათლების პოლიტიკაში ხელისუფლებაც იჭრება. დროდადრო საზოგადოებას გვაცნობენ ახალ იდეებს. ყოველწლიურად განათლების მიმართულებაზე სულ უფრო მეტი თანხა გამოიყოფა. გამოდის, რომ რაც მეტია დაფინანსება, მით უფრო იკლებს განათლების დონე სკოლებში.

– დაფინანსების ზრდა კარგია, მაგრამ აქ არასწორი მიდგომებია. ფულით შეიძლება საუკეთესო საქონელიც შეიძინო და მდარეც. სახელმწიფოს ფული უნდა წავიდეს სწორ პროექტებზე. ეს რომ მოხდეს, მთავრობა სპეციალისტებს უნდა დაელაპარაკოს და მათი აზრი გაიგოს.

თავის იდეებზე კომენტარებს გაბატონებული ჯგუფის წევრებს სთხოვენ. ეს ჰგონიათ საზოგადოების აზრის გათვალისწინება. აკადემიურ წრეებს მუდმივად გვერდს გვივლიან.

– მეცნიერებს ამ თემაზე ხედვები გაქვთ?

– რასაკვირველია. მეც და ჩემს კოლეგებსაც გვაქვს ხედვები და მათ უნივერსიტეტში წარმოვადგენთ და ამ საკითხებზე დისკუსიას გავმართავთ. იმის იმედი არა მაქვს, რომ ამას ხელისუფლება გაეცნობა. ჩვენ ქვეყანაში ზედმეტ ადამიანებად ვითვლებით.

– ბევრ ადამიანს არა მარტო აკადემიურ წრეებში აქვს იმის განცდა, რომ საქართველოში ზედმეტია.

– ხელისუფლებას პარტიაში და სხვადასხვა დარგში იმიტომ აქვს კრიზისი, რომ პროფესიონალების აზრი არ აინტერესებს. მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე არასდროს არაფერს ეკითხებიან აკადემიურ წრეებს.

ამიტომ გვაქვს კატასტროფული მდგომარეობა განათლების სფეროში.

გურულები ხელისუფლებას აჯანყებით ემუქრებიან

ლალი ბასილაშვილი: „ჩვენს სოფლებს არავის გავანადგურებინებთ!“

შორენა მარსაგიშვილი

ოზურგეთის რაიონის 4 სოფელი – დვაბზუ, გაღმა დვაბზუ, მელექედური და ბაღდათი ხელისუფლებას აჯანყებით ემუქრება. აუტანელი ხმაურით და გარემოს დაბინძურებით შეწუხებული გურულები ხელისუფლებას მათი უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ.

ხელისუფლებას მოსახლეობის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს ლეიბორისტული პარტიის წევრი, გარემოს დამცველი ლაშა ჩხარტიშვილიც. „ახალ თაობასთან“ საუბარში ჩხარტიშვილი ამბობს, რომ ის გურულებს გვერდით დაუდგება და მათთან ერთად მოითხოვს, რომ საწარმო, რომელმაც 4 სოფელს გაუმწარა სიცოცხლე, სხვა ადგილას იქნას გადატანილი.

გურულების ჯანყის ერთ-ერთ მოთავედ შეიძლება ოზურგეთის რაიონის სოფელ გაღმა დვაბზუს მკვიდრი ლალი ბასილაშვილი მოგვევლინოს. ის „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა ასფალტის ქარხანამ ხალხის ჯანმრთელობა არ შეინიროს.

რატომ გარბის მოსახლეობა ოზურგეთის რაიონის სოფლებიდან, როგორ აპირებს ხალხი საკუთარი ინტერესების დაცვას? – ამის შესახებ სამოქალაქო აქტივისტი ლალი ბასილაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლალი ბასილაშვილი:

– გურია, კონკრეტულად კი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი, აჯანყების პირას ვდგავართ. თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ბრძოლის დაწყება მოგვიწევს. გამოვიყენებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ნორმას და სოფლებს არავის გავანადგურებინებთ.

სამწუხაროდ, ჩვენს მთავრობას და ბიზნესმენების ნაწილს დემოკრატია და თავისუფლება ძალიან ცუდად ესმით. როცა ოთხ სოფელს შორის რაღაც საწარმოს აკეთებ, ამის შესახებ მოსახლეობას აუცილებლად უნდა შეუთანხმდე.

დვაბზუს, გაღმა დვაბზუს, მელექედურს და ბაღდათს შორის ისე ააშენეს ასფალტის ქარხანა, რომ ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს.

ქარხანა ჩადგეს მდინარე ნატანებში. ეს სუფთა მდინარეა, ისეთი სუფთაა, რომ იქ წინწკლებიანი კალმახები ბინადრობენ. წლების წინ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოხდა მისი გამოკვლევა. კვლევა ებრაელმა სპეციალისტმა ჩაატარა და მან გვითხრა, რომ ეს მდინარე ისეთივე სამკურნალოა, როგორც ნაბეღლავის წყალი. მდინარე ნაბეღლავი და მდინარე ნატანები ერთი მთიდან გადმოდის.

კომუნისტების დროს ამ წყლით გაკეთებულ კომპოტებს საგანგებოდ აგზავნიდნენ მოსკოვში. შემდეგ ამ წყალს ქათმებს ასმევდნენ და არაჩვეულებრივი ხორცი ჰქონდათ.

მდინარე ნატანებს ცუდი თვისებაც აქვს – საშინლად იცის ადიდება. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ხიდიც კი წაიღო. ასეთი მდინარიდან ინერტული მასალის ამოღება დაუშვებელია.

ასფალტის ქარხანა, რომელიც 4 სოფელს უქმნის პრობლემებს, ამ მდინარიდან იღებს ხრეშს. ეს ისეთ რაღაცებს იწვევს, რისი ატანაც უბრალოდ შეუძლებელია.

– მაგალითად, რას იწვევს ისეთს, რისი ატანაც შეუძლებელია?

– როდესაც მიმდინარეობს მდინარე ნატანებიდან ინერტული მასალების ამოღება, ხშირად სასმელი წყლის დონემდე დადიან. ამ დროს ჭაში წყალი შრება. გარშემო მდებარე 4 სოფელი ჭებიდან ვიღებთ წყალს.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებით. ზაფხულში სამი დღე უნდა ელოდო, რომ ჭიდან წყალი აიღო და დაიბანო. ახლახან იმდენი ხრეში ამოიღეს მდინარიდან, რომ ზამთარშიც კი დაიწია წყალმა ჭაში.

იმ ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც ასფალტის ქარხანა ააშენეს, ადრე ვენახები იყო გაშენებული. აქ ხარობს უნიკალური ყურძნის ჯიში – ცოლიკაური. მოსახლეობა აპირებდა ცოლიკაურის გაშენებას, მაგრამ ასფალტის ქარხნის ამოქმედებამ მათი გეგმები შეცვალა.

სადაც ეს ასფალტის საწარმო ჩადგეს. იქ არის აუზი. ჩვენმა სოფლელებმა იქ თევზის წარმოება დაიწყეს. იქ თევზი გაწყდა.

კომუნისტების დროს დვაბზუში საბურავების ქარხანა მოქმედებდა. მოგეხსენებათ, მაშინ რა სიმკაცრე იყო, მაგრამ ჩვენმა გურულებმა არ მოისვენეს და ეს საბურავების ქარხანა გადაწვეს.

– რატომ გადაწვეს?

– გარემოს აბინძურებდა და მაგიტომ. ხანძრიდან ცოტა ხნის შემდეგ რაიონის რაიკომის მდივანმა რამდენიმე კაცთან ერთად მოიფიქრა, რომ საბურავების ქარხანა სხვაგან გადაეტანათ.

ერთ ადგილას მდინარე ნატანები იტოტება, შუაში რჩება ადგილი და იმ ტერიტორიაზე გადაწყვიტეს საწარმოს გაკეთება. აქ იყო არაჩვეულებრივი საყანეები. ეს ყველაფერი გააფუჭეს. აიღეს 5 ჰა მიწა და დაიწყეს მშენებლობა. ვინც აშენებდა, მათთან კონტაქტში ვიყავით და ვურჩევდით, ეს არ გაეკეთებინათ.

ერთ-ერთი მათგანი მიხვდა, რომ ძალიან ცუდ საქმეს აკეთებდა რამდენიმე სოფლისთვის. იმდენი მოახერხა, რომ მოსკოვში საქმე ჩააწყო და ნახევრად აშენებული საწარმოს მშენებლობა შეაჩერეს. მხოლოდ საწყობის აშენება და საწარმოსთვის საჭირო რკინის კონსტრუქციების დადგმა მოესწრო. ამით დამთავრდა საბურავების ქარხნის ამბავი.

მერე საგზაო სამსახურის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ამ ადგილებში ასფალტის მინი ქარხნის მოწყობა გადაწყვიტა. საწარმო პატარა იყო, მაგრამ ისე მოწამლა გარემო, რომ წყალში თევზი გაწყდა და სოფელში ფუტკარი.

მახსოვს, მაშინ დახმარებისთვის აკაკი ბაქრაძეს მივმართეთ. მან ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა, ჩამოიყვანა სპეციალისტები. მათ დაადასტურეს, რომ საქმე გვქონდა ჰაერის მოწამვლასთან. ამის შემდეგ წარმოება შეწყდა.

ახლა ისევ დაიწყეს ეს წარმოება. წამოჭიმეს უფრო დიდი ასფალტის ქარხანა. ეს საწარმო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვაა, მაგრამ ასეთი საწარმო ისეთ მდინარეში უნდა ჩაიდგას, სადაც 1,5 კილომეტრში ადამიანი არ ცხოვრობს და მდინარეში ბევრი ხრეშია.

თავიდან ამბობდნენ, რომ ეს საწარმო მდინარე სუფსაზე უნდა გაეკეთებინათ. მაგრამ არ გააკეთეს.

– თუ იქ იყო გადაწყვეტილი, თქვენთან რანაირად ჩადგეს?

– ფულის დახარჯვა დაენანათ. მდინარე სუფსამდე გზა კი იყო გაყვანილი, მაგრამ გაზი და დენი არ იყო იქამდე მიყვანილი. ამის გაკეთებას დამატებითი თანხები სჭირდებოდა. ამისთვის ფული არ გაიმეტეს. სამაგიეროდ, ჩვენს მდინარესთან ჩადგეს და 4 სოფელს შეუქმნეს პრობლემები.

მოიწამლა ჰაერი, მოიწამლა წყალი. ამ წარმოების ქვეშ წყალში საერთოდ სიცოცხლე აღარ არის. ერთხელ ბავშვები ჩავიდნენ მდინარეში საბანაოდ და დამუწუკებულები ამოვიდნენ იქიდან. სოფლებში ფუტკარი გაწყდა. როდესაც ფუტკარი წყდება, ეს მიანიშნებს, რომ წყალიც მოწამლულია და ჰაერიც.

ეს ყველაფერი არ არის. ძალიან გვაწუხებს ხმაური, რომელსაც საწარმოს მუშაობა იწვევს. დვაბზუ, მელექედური და ბაღდათი საშინელ მდგომარეობაშია. აქ განვითარებული იყო ტურიზმი. ხალხმა სასტუმროების მშენებლობაც კი დაიწყო, მაგრამ რაც ასფალტის ქარხანა ამოქმედდა, დამსვენებელი აღარ ჩამოდის.

– რატომ ამბობენ დამსვენებლები ჩამოსვლაზე უარს?

– აუტანელი ხმაურია. დამსვენებლებს ვინ ჩივის, ასე თუ გაგრძელდა, ყველა გაიქცევა აქედან. რამდენიმე ოჯახმა უკვე გამოკეტა სახლი და სხვაგან წავიდა საცხოვრებლად.

– ასეთი ძლიერი ხმაურია, რომ ხალხი გარბის?

– ამ ხმაურის ატანა შეუძლებელია. კიდევ კარგი, საწარმო სრული დატვირთვით არ მუშაობს.

ესენი ამტკიცებენ, რომ ხმაურის დონეს იცავენ. ეს დონე არსებობს საწარმოო ზონისთვის. ამ ტერიტორიას, სადაც ქარხანა დგას, საწარმოო ზონის სტატუსი არ აქვს. როგორც უკვე ვთქვი, ასფალტის ქარხანა 4 სოფელს შორის არის მოქცეული.

ფანჯრებს ფაქტიურად ვერ ვაღებთ.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ქარხანას ასფალტის შესაგროვებელი ბუნკერი არ აქვს. ასფალტის წარმოებიდან რომ ნარეცხი წყალი გამოდის, ამასაც აუზი სჭირდება, სადაც დაილექება და მერე მისი ფილტრაცია მოხდება. ამათ არც ეს აუზი აქვთ – ტერიტორია არ არის, რომ აუზი მოთხარონ. მხოლოდ წყლის ცირკულაცია გააკეთეს და ერთი და იგივე წყლის გაცივება ხდება.

არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, რომ ჩვენ წარმოების წინააღმდეგი ვართ. წარმოება იქ ჩადგან, სადაც თავიდან იყო განსაზღვრული. ასფალტის ქარხანა გამუდმებით არ მუშაობს, ის მხოლოდ მაშინ ირთვება, როცა დამკვეთი ჰყავს.

ჩვენ მათთან სასამართლოში გვაქვს დავა. სასამართლოს გზით გვინდა სამართლის პოვნა, მაგრამ თუ აქ ვერ ვიპოვით სამართალს, მერე ბრძოლის სხვა მეთოდებს მივმართავთ. კანონს არ დავარღვევთ, მაგრამ ჩვენს უფლებებსაც დავიცავთ. ამ ხმაურში ცხოვრება უკვე შეუძლებელია, ის პირდაპირ ფსიქიკაზე მოქმედებს.

ვახტანგ მაისაია: „ნატომ რუსეთი თავის მტრად გამოაცხადა“

გულიკო ბალაძე

„ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ესაუბრება.

– ბატონო ვახტანგ, ჩვენი ორი დიდი მეზობელი, თურქეთი და რუსეთი, ინტენსიურად იარაღდება და შეიარაღების საკითხში თანამშრომლობს. რუსეთმა მოახდინა თავისი შეიარაღებული ძალების გადაიარაღება და ჯარის რეფორმირება. რას ნიშნავს ის, რომ ნატოს წევრი თურქეთი არჩევს არა ამერიკასთან, არამედ რუსეთთან შეიარაღების კუთხით მჭიდრო თანამშრომლობას? რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ორი ქვეყნის პოლიტიკამ საქართველოზე?

– აქ ჩერჩილის სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია: მე არ მყავს მუდმივი მეგობრები, მე მაქვს მუდმივი ინტერესები. ამდენად, ეს კანონზომიერი მომენტია. თუ ამერიკასა და თურქეთს გარკვეულ მომენტში საერთო ინტერესები ჰქონდათ, ცივ ომამდე ათათურქის ანატოლიის მთავრობასა და რუსეთს ჰქონდათ ძალიან ინტენსიური, მეგობრული ურთიერთობები. პირველი ქვეყანა, რომელმაც ანატოლიის მთავრობა ცნო, საბჭოთა რუსეთი იყო.

ანატოლიის მთავრობა საბჭოთა რუსეთთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობდა. ეს იყო ერთობლივი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

– 1921 წელს.

– დიახ, 1921 წელს, საბჭოთა რუსეთთან ერთად, მაშინდელი ანატოლიის მთავრობის ჯარებიც შემოიჭრნენ საქართველოში. ეს მოხდა ანატოლიის მთავრობის რუსეთთან ჰარმონიული ურთიერთობებიდან გამომდინარე. შემდეგ თურქეთი და საბჭოთა კავშირი გახდნენ მტრები. ახლა ამერიკისა და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი ინტერესები სცდება მათ შორის არსებულ ურთიერთობებს.

ასე რომ, რამდენად არიან თურქები და ამერიკელები სტრატეგიული პარტნიორები, ცალკე საუბრის თემაა. თურქეთის დღევანდელ მთავრობას პრეტენზიები აქვს ამერიკის წინა და დღევანდელ მთავრობებთან, რომ მის წინააღმდეგ გადატრიალების მომწყობებს ხელს აფარებენ, დღევანდელი თურქეთის ინტერესებს არღვევენ სირიაში და ეხმარებიან იმ სეპარატისტულ ძალებს, რომლებსაც უნდათ თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

– თურქეთი და რუსეთი მომავალში შავ ზღვაზე უფრო ფართომასშტაბიანი წვრთნების ჩატარებასაც არ გამორიცხავენ.

– რა თქმა უნდა. თუ არ ვცდები, წვრთნები ყირიმის აკვატორიასთან ახლოს ჩატარდა. წვრთნები ჩატარდა იმ ფონზე, როდესაც ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობა გამწვავდა. ამერიკისთვის რუსეთი არის მტერი. ამ დროს ნატოს პირდაპირი მოკავშირე, თურქეთი, ამერიკის მტერთან ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ატარებს. თქვენ გამოიტანეთ დასკვნა, ეს რას ნიშნავს.

– ეს თურქეთის ამერიკასთან დაპირისპირებაა თუ ნატოსთან დაპირისპირებაც შეიძლება იყოს?

– ეს თურქეთის მხრიდან უკვე ნატოსთან დაპირისპირებაც არის, მხოლოდ ამერიკასთან არ არის დაპირისპირებული. ნატომ რუსეთი თავის მტრად გამოაცხადა. ეს ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ძალიან მკვეთრად დაფიქსირდა. ამას ხაზს უსვამს ნატოს ხელმძღვანელობაც. რუსეთი ნატოს პირველი მტერია. პირველად ცივი ომის შემდეგ ნატოს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, თავისი წესდების მე-5 მუხლის ვალდებულება აემოქმედებინა.

– პარალელურად თურქეთი ურთიერთობებს ირანთანაც ავითარებს.

– დიახ, თურქეთს ირანთან, მით უმეტეს, ძალიან მჭიდრო ურთიერთობები აქვს. თურქეთი არ შეუერთდა ირანის წინააღმდეგ სასანქციო პოლიტიკას. პირიქით, ამ ვითარებაში ირანის, თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდა. ფაქტობრივად, შეიქმნა არაფორმალური გაერთიანება მოსკოვი-თეირანი-ანკარა.

ირანულ გაზსა და ნავთობს თურქეთი ყოველგვარი შეფერხების გარეშე ყიდულობს და ირანის ეკონომიკას ეხმარება. თურქეთში პროამერიკელი სამხედროები, ფაქტობრივად, დაპატიმრებული ან ქვეყნიდან გაქცეული არიან. ერდოღანის მთავრობამ მონოპოლია მოახდინა. ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვევა და მყარდება ავტორიტარული რეჟიმი, რაც, ბუნებრივია, ამერიკულ ღირებულებებსა და მოთხოვნებს ვერანაირად ვერ შეესაბამება.

– თურქეთში ნატოს ბაზა რა მდგომარეობაშია?

– ნატოს ბაზა თურქეთში ბლოკადაშია. ამერიკელებმა ბაზის დაახლოებით 40% გაიყვანეს და ბოლომდე აპირებენ გაყვანას. ესეც საინტერესო ნიუანსია. თუ არ ვცდები, საბერძნეთში აპირებენ გადაყვანას. ამდენად, დღეს თურქეთსა და ამერიკას შორის რთული ურთიერთობა რომ არის, ფაქტია. ერდოღანი, იმის მაგივრად, რომ რუსეთის წინააღმდეგ იმ სანქციებს შეუერთდეს, რომლებიც დააწესეს ამერიკამ და ევროკავშირმა, პირიქით იქცევა. დღეს რუსეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 40 მილიარდ დოლარს მიაღწია.

– რუსეთი, მგონი, ვა ბანკზე მიდის, უპირისპირდება ევროპას, ამერიკასა და ნატოს. მისი მოკავშირეები ირანი და თურქეთი არიან. ამ ვითარებაში რა ელოდება საქართველოს, რომელიც ასეთ გეოპოლიტიკურ მდებარეობას იკავებს?

– რუსეთსა და ანკარას შორის ურთიერთობების დათბობა და გაძლიერება საქართველოს კარგს არაფერს უქადის. ეს ისტორიული აქსიომაა. ანკარასა და მოსკოვს შორის პირველმა სტრატეგიულმა თანამშრომლობამ საქართველოს პირველი რესპუბლიკა შეიწირა. ეს ისტორიული ფაქტია. ამ ფაქტს ჩვენს მომავალ თაობას ნახევრად არ უნდა ვასწავლიდეთ. თავი არ უნდა მოვიტყუოთ. რუსეთშიც და თურქეთშიც ავტორიტარული რეჟიმია. ეს ქვეყნები დემოკრატიის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევიან. ორივე ქვეყანა რეგიონში ჰეგემონობისაკენ ისწრაფვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს დიდი ყურადღება მართებს, რადგან დღეს არ არის ის თურქეთი, რომელიც იყო თანსუ ჩილერის დროს.

დღეს თურქეთში ერდოღანის ავტოკრატიული რეჟიმია, რაც ვითარებას ცვლის. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ თურქეთის სახელმწიფო იყო პირველი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაწყებული, დღემდე მხარს გვიჭერდა, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფო. ახლა რუსეთსა და თურქეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა ჩვენ მიმართაც ვითარებას ცვლის.

– დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოში ჩამოდიოდნენ ნატოს თურქი ექსპერტები, სამხედროები, რომლებიც საქართველოს სამხედრო აღმშენებლობაში ეხმარებოდნენ.

– დიახ, მათ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

– ასეთი თანამშრომლობა ახლაც გრძელდება?

– გრძელდება იმიტომ, რომ თურქეთი ჯერჯერობით ნატოს წევრი სახელმწიფოა. თურქეთი საქართველოს ნატოს ვალდებულებებიდან გამომდინარე ეხმარება. თურქეთი ნატოს პროექტების ფარგლებში გვეხმარება. რეჟიმის დონეზე რომ იყოს თანამშრომლობა, ეს საშიში გამოვლენა იქნება.

– რუსეთი ჩვენი მტერია და რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობით ჩვენთვის საშიშროება მაინც იქმნება.

– ცხადია, საშიშროება იქმნება. თურქეთი და რუსეთი სტრატეგიულად თანამშრომლობენ. ეს ხომ ფაქტია. თურქეთი ცდილობს, ამერიკასთან გაწყვიტოს ურთიერთობა და რუსეთთან დაამყაროს სტრატეგიული თანამშრომლობა სამხედრო პარტნიორობის დონეზე.

ტერიტორიები, სადაც ინვესტორები ფართების ქირაობა-შეძენით ინტერესდებიან

უძრავი ქონების სააგენტო myclient.ge-ს ინფორმაციით, კომერციული ფართების ყიდვის ან დაქირავების სურვილით ინვესტორები ყოველდღიურად მიმართავენ. ამის შესახებ bpn.ge წერს.

მათი მოთხოვნიდან გამომდინარე, კომპანიაში ყველაზე მოთხოვნად ტერიტორიებსაც ასახელებენ. კერძოდ, ესენია: აღმაშენებლის გამზირი, ვაკე-საბურთალო და ძველი თბილისი.

– როდესაც ჩვენთან მოდიან ადამიანები, რომლებსაც კომერციული საქმიანობისთვის სურთ ფართის დაქირავება, ისინი ცალსახად განმარტავენ, რომ იჯარის ოდენობამ 10 წელიწადში უნდა მოახდინოს ფართის ღირებულების ამოღება, – განმარტავენ სააგენტოში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ცნობით, თბილისის ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართების გაყიდვისა და გაქირავების ტენდენცია საგრძნობლად შემცირებულია.

როგორც კომპანიის დირექტორი, გვანცა გუჯელაშვილი განმარტავს, „კომერციული ფართები ყველაზე მეტად აღმაშენებლის გამზირზე გამოცარიელდა, არადა ეს ქუჩა უცხოელი ინვესტორების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და, შესაბამისად, დაკავებულიც იყო“.

აღნიშნულის მიზეზად Myclient.ge-ში ასახელებენ კომერციული ფართების ფასს, რომელსაც მესაკუთრეები თავიანთი სურვილის მიხედვით, თუმცა შეუსაბამოდ ადებენ, რაც ინვესტორებისთვის მისაღები ღირებულებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

– ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართების ღირებულება (კვადრატული) 3000-5000 ლარის ფარგლებში მერყეობს, მესაკუთრეები კი თითქმის ორმაგს აფასებენ. ანუ, ბაზარზე არის ასეთი მდგომარეობა – ერთი მხრივ, ყველას უნდა საკუთარი უძრავი ქონება ერთგვარ შემოსავლის წყაროდ აქციოს, გაყიდოს ან გააქირაოს, მაგრამ ამის მიუხედავად, ხდება ისე, რომ მესაკუთრეები არასწორად, ბაზრის მოთხოვნებისგან განსხვავებულ ფასს ადებენ ქონებებს, რაც თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდების მსურველებს აფრთხობს და, შესაბამისად, მათ შორის მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია, – განმარტავს გუჯელაშვილი.

bpn.ge

„სახელმწიფომ წერილობით უნდა აიღოს ვალდებულება, რომ 2020 წლამდე ანაკლიის პორტამდე გზის მიყვანის სამუშაოებს დაასრულებს“

– თუ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ანაკლიის პორტამდე გზის მიყვანა 2020 წლამდე მოხდება, ამის გაფორმება წერილობით უნდა მოხდეს, – ასე გამოეხმაურა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალური დირექტორი ლევან ახვლედიანი „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებას, რომ „ანაკლიის პორტთან მისასვლელი გზა 2020 წლის ბოლოსთვის აშენდება“.

– ფაქტია, რომ პორტამდე მისასვლელი რკინიგზისა და გზის მოწყობასთან დაკავშირებით ტენდერი სამჯერ ჩაიშალა. რა მიზეზებით, ამას არ აქვს მნიშვნელობა. იმ 8 პუნქტს შორის კი, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა დეკემბერში დააყენეს, ერთ-ერთი არის რკინიგზა და გზა. კერძოდ, მათი მხრიდან საუბარია იმაზე, თუ რა ვალდებულებებს იღებს მთავრობა იმისთვის, რომ პორტამდე ამ გზას და რკინიგზას მიიყვანს. მთავრობა აცხადებს, რომ გზაც და რკინიგზაც მოეწყობა და ეს ვალდებულება ხელშეკრულებაშიც დევს. მაგრამ არ არის განსაზღვრული როდის მოხდება ან რამდენი დრო დასჭირდება. საავტომობილო გზების დეპარტამენტში 11 მარტს განაცხადეს, რომ 2020 წლამდე დასრულდება სამუშაოები. შესაბამისად, თუ ამ ვალდებულებას იღებს სახელმწიფო გრაფიკთან მიმართებაში, ეს წერილობით უნდა განისაზღვროს.

მეორე საკითხი, რაც ბანკებს აინტერესებს, არის ის – თუ რა ხდება სამუშაოების დაგვიანების შემთხვევაში ანუ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ პორტი აშენდა, ხოლო გზა და რკინიგზა დროულად არ იქნა მოყვანილი. აი, ამაზე მიდის მოლაპარაკება – რა დამატებით ფინანსურ ვალდებულებას აიღებს მთავრობა გზისა და რკინიგზის პროექტის დაგვიანების შემთხვევაში, – განაცხადა ახვლედიანმა.

bpn

ვინ ვეღარ შეძლებს მიწის უზრუნველყოფაში ჩადებას?

საკანონმდებლო ორგანოში უკვე შესულია ორგანული კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“.

პროექტში მათ შორის საუბარია შეზღუდვებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევისთვის, რაც შესაბამისობაშია საკუთრებისთვის დადგენილ მოთხოვნებთან.

– კერძოდ, დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება უცხოელის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიული პირის (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი) სასარგებლოდ. ასევე დაუშვებელია აღნიშნული პირებისათვის ისეთი მოთხოვნის ან უფლების დათმობა, რაც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობას.

გამონაკლისი შემთხვევები დგინდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის ფარგლებში, ასევე, უცხოელის მიერ ქონებრივი უფლების მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში. ვინაიდან, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა სწორედ ამგვარ საქმიანობას ითვალისწინებს, შესაბამისად, მათ მიმართ ვერ გავრცელდება ეს შეზღუდვა, თუმცა, მხოლოდ კანონით ნებადართული საქმიანობის ფარგლებში.

ამასთან, ვინაიდან კანონი უშვებს მემკვიდრეობის საფუძველზე უცხოელის საკუთრებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, არალოგიკური იქნებოდა სხვა ქონებრივი უფლებების მემკვიდრეობით მიღების დაუშვებლობა, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

bpn

ვახტანგ ლაშქარაძე: „საბაჟო ორგანოები მაქსიმალურად არიან ჩართული სიგარეტის კონტრაბანდის აღკვეთის ღონისძიებებში“

– საბაჟო ორგანოები მაქსიმალურად არიან ჩართულები სიგარეტის კონტრაბანდის აღკვეთის ღონისძიებებში, – აღნიშნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსმა, ვახტანგ ლაშქარაძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში საუბრისას.

მისი თქმით, კონტრაბანდის წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებები ხორციელდება ქვეყნის კონტროლირებად საზღვრებზე – საბაჟო – გამშვებ პუნქტებზე, რისთვისაც გამოყენებულია კინოლოგიის სამსახურიც.

– ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა, რაც შეიძლება სწრაფად და შეუფერხებლად შემოვუშვათ ტურისტი ქვეყანაში, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც დიდი ტურისტული მიმოსვლაა საზღვრებზე. რა თქმა უნდა, ეს შედარებით ართულებს კონტრაბანდული სიგარეტის ძებნას, თუმცა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრები ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ ქვეყნის საზღვარზე არადეკლარირებული სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტების აღსაკვეთად, – განაცხადა ვახტანგ ლაშქარაძემ.

bpn

გლდანში „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმისთვის ნიკა ქარსელაძე და კახა გამხუაშვილი დააკავეს

ისინი მძევლებმა ამოიცნეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 8 მარტს გლდანში „საქართველოს ბანკზე“ მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი გახსნა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მამუკა ჭელიძემ 12 მარტს დილით გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ყაჩაღობის, პოლიციელზე თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულია 2 პირი – წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1998 წელს დაბადებული ნიკა ქარსელაძე და ასევე, წარსულში ნასამართლევი, 1999 წელს დაბადებული კახა გამხუაშვილი.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ შეიარაღებული და ნიღბიანი ბრალდებულები გლდანში „საქართველოს ბანკში“ შეიჭრნენ და სიცოცხლის მოსპობის მუქარით ფული მოითხოვეს. ბანკის თანამშრომლებმა განგაშის სიგნალით დაცვის პოლიცია გამოიძახეს. ბანკის ფილიალთან მისულ დაცვის პოლიციას თავდამსხმელებმა ცეცხლი გაუხსნეს. სროლისას არავინ დაშავებულა.

ბრალდებულებმა, ბანკის ფილიალზე ყაჩაღურ თავდასხმამდე თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს 2 მოქალაქეს და კუთვნილი ავტომანქანა ჩამოართვეს. პოლიციის ოპერატიული რეაგირების შედეგად, თავდამსხმელები იძულებული გახდნენ, მძევლად აყვანილი ორივე მოქალაქე გაეთავისუფლებინათ და შემთხვევის ადგილიდან გატაცებული ავტომანქანით მიიმალნენ.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო გატაცებული ავტომანქანა, რომელიც ბრალდებულებმა კვალის დაფარვის მიზნით დაწვეს.

დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა და გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

დადგენილია დანაშაულში მონაწილე მესამე პირიც და მისი დაკავების მიზნით მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და პოლიციელზე თავდასხმის ფაქტებზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით, 353-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით“, – განაცხადეს შსს-ში.

12 მარტს სასამართლომ თავდასხმისთვის ბრალდებულ პირებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა განუსაზღვრა.

დაცვის მხარე ორივე ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდებას მოითხოვდა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში 20 ათასი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 30 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

წინასასამართლო სხდომა 2 მაისს დაინიშნა.

❖ ❖ ❖

– მთელი ღამის განმავლობაში ბრალდებულები დაზარალებულთან ერთად იმყოფებოდნენ და მათ არ ჰქონდათ თავზე არაფერი ჩამოფარებული. სწორედ ასე შეძლეს ბრალდებულთა ამოცნობა, – განაცხადა პროკურორმა ირაკლი გულდედავამ.

პროკურორის თქმით, თავდამსხმელებმა დაახლოებით 8.100 ევრო, 13.000 დოლარი და 10.000 ლარი გაიტაცეს.

– ბრალდების მხარემ პატიმრობა მოითხოვა ორივე ბრალდებულის მიმართ და სასამართლომ ჩვენი შუამდგომლობა გაიზიარა. სასამართლოში ჩვენ წარვადგინეთ გამოკითხვის ოქმები, ასევე არაერთი დაზარალებულის გამოკითხვის ოქმები.

დაცვის მხარე ცდილობდა, სასამართლო შეეყვანა შეცდომაში. ერთ-ერთ დაზარალებულს მას შემდეგ ჩამოაფარეს თავზე მაისური, რაც უკვე ბანკზე თავდასხმისთვის წავიდნენ. მანამდე მთელი ღამის განმავლობაში დაზარალებულებთან ერთად იმყოფებოდნენ და მათ არ ჰქონდათ თავზე არაფერი ჩამოფარებული.

ასევე ერთ-ერთმა ბრალდებულმა, დაზარალებულის განმარტებით, ავტომობილში მოიხსნა ნიღაბი. სწორედ ასე შეძლეს მისი იდენტიფიცირება, – განაცხადა პროკურორმა.

სხვა მოსაზრება აქვს ადვოკატ ლაშა მიქაუტაძეს.

– დაზარალებულების ჩვენებიდან ვიცით, რომ ყაჩაღებს ჰქონდათ ნიღბები, შესაბამისად, ისინი ნიღბიან ადამიანებს ვერ ამოიცნობდნენ, – განაცხადა მან.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ ბრალდებას არ აქვს საკმარისი მტკიცებულება საიმისოდ, რომ ბრალდებულებისთვის აღკვეთი ღონისძიებად პატიმრობა გამოყენებულიყო.

– შეიძლებოდა გირაო ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ექსპერტიზებით არ მტკიცდება, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს დანაშაული. მათ მიმართ აღკვეთი ღონისძიებად პატიმრობა იმის გამო გამოიყენა სასამართლომ, რომ ბრალდებულები წარსულში ნასამართლევი იყვნენ.

ექსპერტიზის პასუხებით, შემთხვევის ადგილიდან დნმ არ არის ამოღებული. მხოლოდ ნიკა ქარსელაძის კვალი არის აღმოჩენილი ბანკში და ეს არ ნიშნავს რომ დამნაშავეა ვინმე. დაზარალებულების ჩვენებიდან ვიცით, რომ ყაჩაღებს ჰქონდათ ნიღბები, შესაბამისად, ისინი ვერ ამოიცნობდნენ ნიღბიან ადამიანებს, – განაცხადა ადვოკატმა.

ფონიჭალაში დედა და მისი ორი ვაჟიშვილი დააკავეს

გუშინ, 12 მარტს, ფონიჭალაში სპეცოპერაცია ჩატარდა.

ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, რომელიც დილიდან სპეცრაზმის ალყაში იყო მოქცეული, სამართალდამცავებმა 3 პირი დააკავეს.

ყველა მათგანი ერთი ოჯახის წევრია. დაკავებულია დედა და მისი ორი შვილი – 21 და 24 წლის მამაკაცები.

სამივე მათგანს გამოძიება ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-გასაღებას ედავება.

ქალი გუშინ დილით თბილისში დაიკავეს, ხოლო მისი შვილები დღის მეორე ნახევარში ფონიჭალაში, საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან აიყვანეს, რასაც ხმაური მოჰყვა.

მეზობლებმა ახალგაზრდა მამაკაცების დაკავება გააპროტესტეს და შეეცადნენ, სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

საგამოძიებო მოქმედებების დროს სამართალდამცავებმა ერთ-ერთი მანქანიდან, რომელიც დაკავებულების საცხოვრებელი სახლის ეზოში იდგა, ნივთმტკიცებად რამდენიმე შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

დაკავებულების ადვოკატი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფებმა არ იციან, ვის ეკუთვნის ნარკოტიკული საშუალებები და როგორ მოხვდა ისინი მათ კუთვნილ მანქანაში.

– ჩემი მხარე ამბობს, რომ მისი არ არის. საიდან ვინ მოიტანა, არ იცის და ასე ვთქვათ, წესით და რიგით, რეალიზაციის თემა, თითქოს, ნარკოტიკული ნივთიერების ინფორმაცია იყო, ამ ეტაპზე არ დასტურდება. გარკვეული მოხმარების მიმართულებით შეიძლება, იყოს ეჭვები, – აცხადებს დაკავებულების ადვოკატი.

ადვოკატი ჩხაიძე: „ნუგზარ ბაგრატიონი არ არის ბაგრატიონი, ის არის სიხარულიძე და გვარს იბრალებს“

ნუგზარ ბაგრატიონი არ არის ბაგრატიონი, ის არის სიხარულიძე და გვარს იბრალებს. ამის შესახებ დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ადვოკატმა ლევან ჩხაიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

ადვოკატის თქმით, არსებული ინფორმაციით, საქართველოს საპატრიარქომ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ოჯახზე დნმ კვლევა ჩაატარა, რითაც დაადგინა, რომ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მამა, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, ბაგრატიონი არ არის და სინამდვილეში სიხარულიძეა.

– ოფიციალური მონაცემები ჩემთვის არ მოუციათ, მაგრამ ჩემთვის ცნობილია და სანდო წყაროთი ვიცი, რომ საპატრიარქომ ჩაატარა დნმ კვლევა და ნუგზარ ბაგრატიონი არ არის ბაგრატიონი. ის არის სიხარულიძე და იბრალებს გვარს. ეს ინფორმაცია ჩვენ გვაქვს. აი, ახლა წავიდნენ და მიჩივლონ. თუ არ არის სიხარულიძე, მომიტანოს დნმ-ის ანალიზის დასკვნა, – განაცხადა ადვოკატმა ლევან ჩხაიძემ.

მან ისაუბრა გამოცემა „დეილი მეილთან“ დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ოჯახმა ამ გამოცემას, დავით ბაგრატიონ-მუხრანელის სახელის შელახვის მიზნით, დეზინფორმაციის გამოქვეყნება შეუკვეთა.

ადვოკატის თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება გამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა 3.000 ფუნტის სანაცვლოდ გამოცემის ჟურნალისტს ბაგრატიონთა ჯილდოს გადაცემა შესთავაზა.

– რაც შეეხება „დეილი მეილს“, მინდა საზოგადოებას და ჟურნალისტებსაც მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ როცა „დეილი მეილს“ იყენებთ წყაროდ, უნდა ვნახოთ, რა გაზეთთან გვაქვს საქმე. ეს არის უკიდურესად მარგინალური და არასანდო გაზეთი. ეს გაზეთი თანამშრომლობს გრუზინსკებთან და ეს იყო გრუზინსკების მიერ შეკვეთილი სტატია, რათა დავით ბაგრატიონ-მუხრანელისთვის ჩრდილი მიეყენებინათ, – განაცხადა ლევან ჩხაიძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სამეფო ოჯახის დავით ბაგრატიონ-მუხრანელისა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის საქმეზე პროცესი მიმდინარეობს.

ანა ბაგრატიონი-გრუზინსკი ყოფილ მეუღლეს, დავით ბაგრატიონ-მუხრანელს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ყოფილი მეუღლე სამეფო ოჯახის სახელს ბოროტად იყენებს და ჯილდოებს ბაგრატიონების სახელით უკანონოდ არიგებს.

პოლიციის უფროს ბუტა ანთაძის მკვლელობისთვის ბესიკ ტაკიძეს 20 წელი მიესაჯა

ქობულეთში, სოფელ მუხაესტატეს პოლიციის სამმართველოს უფროსის მკვლელობაში ბრალდებულ ბესიკ ტაკიძეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გადაწყვეტილებას ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოკლული პოლიციელის ბუტა ანთაძის ოჯახის წევრებისგან პროტესტი მოჰყვა.

ისინი ბესიკ ტაკიძის უვადო პატიმრობას ითხოვდნენ. გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი გრატიაშვილმა მიღო.

საქმის განხილვა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

როგორც მოსამართლემ განაცხადა, მან გადაწყვეტილება 11 მარტს ვერ გამოაცხადა, ვინაიდან მტკიცებულებებსა და მოწმეების ჩვენებებს კიდევ ერთხელ გადახედა.

ბუტა ანთაძე ზაფხულში სოფელ მუხაესტატეში თანასოფლელმა ცივი იარაღით მოკლა.

ფოთში 9 წლის მოზარდს დენმა დაარტყა

ბავშვი თბილისში გადაიყვანეს

9 წლის მოზარდი, რომელმაც დენის დარტყმის შედეგად მძიმე დამწვრობა მიიღო, ფოთის საავადმყოფოდან თბილისში, შესაბამისი პროფილის კლინიკაში გადაიყვანეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ჰოსპიტლის დირექტორმა თეა მიგინეიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, მოზარდს სხეულის მესამე-მეოთხე ხარისხის დამწვრობითი დაზიანება აღენიშნებოდა და მისი მდგომარეობა იყო მძიმე.

– 112-ის ბრიგადამ შემოიყვანა 9 წლის მოზარდი, საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაში. აღენიშნებოდა შოკი, სხეულის მესამე-მეოთხე ხარისხის დამწვრობითი დაზიანება, სხეულის 60%-ის დაზიანებით, სუნთქვის მწვავე უკმარისობა. ბავშვი მართვით სუნთქვაზე იყო გადაყვანილი. ჩაუტარდა ყველა საჭირო მკურნალობა, კვლევა და სასწრაფო წესით გარეფერალდა თბილისის შესაბამისი პროფილის კლინიკაში, – აღნიშნა თეა მიგინეიშვილმა.

ფოთში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მდებარე სატრანსფორმატორო მაღალი ძაბვის ქვესადგურში, 9 წლის მოზარდს დენმა დაარტყა.

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ძიუდოისტი თორნიკე ნაგლიაშვილი ცოლზე ძალადობისთვის დააკავეს

ის ბრალს არ აღიარებს

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრი, 22 წლის თორნიკე ნაგლიაშვილი, რომელიც სამართალდამცავებმა მეუღლის მიმართ მუქარის ბრალდებით დააკავეს, დანაშაულს არ აღიარებს.

დაკავების მიზეზი ოჯახური ძალადობა გახდა. შემთხვევა კი 5 მარტს მოხდა.

საქმე ეხება მეუღლისთვის გაგზავნილ მუქარის შემცველ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს.

თორნიკე ნაგლიაშვილს გვანცა ფანგანის მიმართ შემაკავებელი ორდერი ჰქონდა გამოწერილი, რომელიც მან რამდენჯერმე დაარღვია.

თორნიკე ნაგლიაშვილმა დაკავების გამო საქართველოს პირველობაზე ვერ იასპარეზა და ასევე ვერც ევროპულ ტურნირზე გაემგზავრა შვეიცარიაში.

ძიუდოისტი მარნეულის პოლიციამ ცოლის საჩივრის საფუძველზე დააკავა. როგორც სპორტსმენის მეუღლის ოჯახში აცხადებენ, პირველად ნაგლიაშვილმა ცოლზე ფიზიკურად იძალადა, ამჯერად კი საქმე მუქარას ეხება.

ძიუდოისტის ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულს არ აღიარებს და ასევე არ არსებობს მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

თორნიკე ნაგლიაშვილის დედა ამბობს, რომ პრობლემას თავად სპორტსმენი და გვანცა ფანგანი მოაგვარებენ.

– სიმშვიდეა, სიწყნარე, ყველაფერი კარგად იქნება. მორიგდებიან ორივე. ძალიან გთხოვთ, ნუღარ შეგვაწუხებთ, – ამბობს სპორტსმენის დედა.

ახმეტის სასაფლაოზე ხანძრის ჩაქრობისას მეხანძრე ლევან ოღაძე დაიღუპა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახმეტის რაიონის სახანძრო-სამაშველო განყოფილების თანამშრომელი, 34 წლის ლევან ოღაძე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა.

აღნიშნულ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც სოფელ ნადუქნარში მეხანძრე სოფლის სასაფლაოზე გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას ცდილობდა.

მეხანძრე სახანძრო მანქანაზე ასვლას ცდილობდა, ფეხი გაუცურდა და გადმოვარდა.

2019, 13 მარტი, №60

ვენესუელის პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა

ჯონ ბოლტონი: „მადუროს მომავალი რომელიმე სხვა ქვეყნის პლაჟზეა!“

ვენესუელა კვლავ წყვდიადშია. გათიშულია ტელეფონები, ინტერნეტი, მობილური კავშირები. არ მუშაობს არც ერთი ბანკომატი. მაღაზიებშიც ფული ნაღდ ანგარიშზე უნდა გადაიხადო. მკვეთრად მოიმატა ყაჩაღობის ფაქტებმა.

კარაკასში ახალგაზრდების ჯგუფმა სუპერმარკეტის ვიტრინა ჩაამსხვრია და შიგ შეღწევა სცადა. დაცვამ მათ ცეცხლი გაუხსნა. თავდამსხმელები მიიმალნენ. მსგავს ფაქტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აქვს ადგილი.

ოპოზიციის ლიდერმა გუაიდომ განაცხადა, რომ ენერგოკრიზისი ხელისუფლებამ სპეციალურად შექმნა. მადურო დარწმუნებულია, რომ ყაჩაღობით გაწამებული ხალხი ქუჩაში გამოვა და ოპოზიციონერებს გაუსწორდება. გუაიდომაც პარლამენტს მოუწოდა, ქვეყანაში შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა.

– მადუროს რეჟიმმა ყაჩაღობის აფეთქების პროვოცირება მოახდინა! ეს მათ სინდისზე იყოს. ჩვენი ვალია წესრიგის აღდგენა, – თქვა გუაიდომ.

პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობა 30 დღის ვადით შემოიღო, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიტინგები და დემონსტრაციები შეწყდება. გუაიდომ ხალხს ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდა:

– ქვეყნის მომავალი ხალხის ხელშია! დიქტატორულ რეჟიმს ბოლო სწორედ ხალხმა უნდა მოუღოს, – თქვა გუაიდომ.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მადუროს რეჟიმის აგონია დაიწყო და ახლა ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული.

– მოვლენების დინამიკა გუაიდოს მხარესაა! მან მტკიცედ აიღო ხელში ინიციატივა, – ამბობს ბოლტონი.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ხაზი გაუსვა, რომ მადუროს, როგორც ლიდერს, მომავალი არ აქვს.

– მადუროს მომავალს სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნის პლაჟზე ვხედავ! დაე, იქ კარგად დაისვენოს, – განაცხადა ბოლტონმა.

დემოკრატიულმა სამყარომ კარგა ხანია, გუაიდო ვენესუელის დროებით პრეზიდენტად ცნო. ამავე დროს, პუტინის რეჟიმი მადუროს მხარს უჭერს. რუსეთმა თავის დროზე ვენესუელაში მილიარდები ჩადო. რუსული ბანკები ვენესუელის სახელმწიფოს კვლავ ემსახურებიან. კერძოდ „ევროფინანს მოსნარბანკი“ ვენესუელის ნავთობგაზის კომპანიას ემსახურება. ამერიკელებმაც ამ ბანკის მიმართ სანქციები დაანწესეს.

– რუსები მადუროს არალეგიტიმურ რეჟიმს ეხმარებიან. ამიტომ ჩვენ მოსკოვი დავსაჯეთ, – ამბობს აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მნუჩინი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ რუსების მოქმედება დაგმო. მან განაცხადა, რომ რუსეთი და კუბა ვენესუელის ნავთობის ყიდვას განაგრძობენ და ამიტომ მადუროს რეჟიმს ეხმარებიან.

– ეს დაუშვებელია! – თქვა პომპეომ.

ტრამპი კონგრესს ბიუჯეტში თავდაცვის დაფინანსების გაზრდას სთხოვს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კონგრესს 2020 წლის ბიუჯეტში თავდაცვის სფეროს დაფინანსების გაზრდას სთხოვს.

კერძოდ, თეთრი სახლის ლიდერი 750 მილიარდ დოლარს ითხოვს გემების, თვითმფრინავების, სამხედრო ბაზებისა და ჯარის განვითარებისთვის, რამაც მომდევნო წლებში ამერიკის თავდაცვა უნდა უზრუნველყოს.

როგორც „როიტერსი“ წერს, ეს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიუჯეტია თავდაცვის სფეროსთვის, რაც პრეზიდენტს კონგრესისთვის შეუთავაზებია.

თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის პარალელურად, ტრამპს სხვა ხარჯების ხუთი პროცენტით შემცირება სურს.

იულია ტიმოშენკომ მეორე ადგილზე გადაინაცვლა

უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

ლიდერთა სამეულში ცვლილებები მოხდა. პირველ ადგილზე კვლავინდებურად შოუმენი ზელენსკია. მას 23,8% უჭერს მხარს. მეორეზე კი იულია ტიმოშენკომ გადაინაცვლა. მას მხარდაჭერა გამოუცხადა 19,5%-მა. მესამეზე ამჟამინდელი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოა (18,8 %).

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გულმავიწყი ამერიკელი კინაღამ მოგებული მილიონების გარეშე დარჩა

აშშ-ის მცხოვრები მამაკაცი კინაღამ მოგებული 273 მილიონი დოლარის გარეშე დარჩა, როდესაც იღბლიანი ბილეთი სალაროში დარჩა.

ნიუ-ჯერსის შტატის მკვიდრი მაიკ ვეირსკი ერთი წლის მანძილზე სამსახურის ძებნაში იყო. ის კვირაში დაახლოებით 20 დოლარს ხარჯავდა ლატარიის ბილეთებზე, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ფინანსური პრობლემების გამო იძულებული გახდა, ლატარიის თამაში შეეწყვიტა.

მოგებამდე ორი კვირით ადრე, ვეირსკიმ ისე დაიწყო ლატარიის თამაში. მან რამდენიმე ბილეთი შეიძინა და ისინი სალაროსთან გვერდით დააწყო, რათა საფულე შეენახა. შემდეგ ტელეფონზე ლაპარაკით გაერთო და მაღაზიიდან ხელცარიელი გამოვიდა. მას ბილეთები მხოლოდ მეორე დღეს გაახსენდა და მაღაზიაში დაბრუნდა.

როგორც გაირკვა, ერთ-ერთმა მყიდველმა შენიშნა, რომ ვეირსკის ბილეთები სალაროსთან დარჩა და ისინი გამყიდველს მისცა. მაღაზიის თანამშრომელმა ისინი შეინახა და გულმავიწყი მყიდველის გამოჩენას დაელოდა. მამაკაცი მაღაზიაში დაბრუნდა, თავისი ბილეთები წამოიღო და მყუდრო ადგილას შეინახა.

ორი დღის შემდეგ 54 წლის მამაკაცმა მეგა მილიონის გათამაშების შედეგები შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ჯეკპოტი მოხსნა.

– საკუთარ წარმატებას ვერ ვიჯერებდი, რომელიც ამდენი წლების შემდეგ მეწვია, – აღიარა ვეირსკიმ, – ეს მოგება მთელ ჩემ ცხოვრებას შეცვლის, ვინაიდან უმუშევარი ვიყავი.

მამაკაცის თქმით, პირველ რიგში მოგებული ფულით ორ ავტომობილს იყიდის, თავისთვის და დედისთვის, ასევე სურს იპოვოს ის უცნობი, რომელმაც მისი ბილეთები გამყიდველს ჩააბარა და მადლობა გადაუხადოს ამ სიკეთისთვის.

პენსიონერი, რომელმაც ფსონების წაუგებელი სისტემა შეიმუშავა, ბუკმეკერებმა გააძევეს

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ კოლჩესტერში პენსიონერს მას შემდეგ აუკრძალეს ფსონების დადება, როდესაც ის ზედიზედ 12 დღე იგებდა.

მაიკლ ბეიტსმა საბუკმეკერო კანტორა ქორალში 12 დღეში 2 ათასზე მეტი ფუნტი სტერლინგი მოიგო. 74 წლის ბრიტანელმა დოღზე 48 ფსონი გააკეთა და ყველა მომგებიანი აღმოჩნდა. ამის შემდეგ მას ფსონების დადება აუკრძალეს, რის მიზეზადაც ის დაასახელეს, რომ „მან მეტისმეტად ბევრი მოიგო“.

– როგორ შეუძლიათ მათ ხალხი ფსონის დასადებად მიიწვიონ, შემდეგ კი გააძევონ ისინი, როდესაც მოიგებენ? მათ უნდათ, რომ ყველა მათი კლიენტი წაგებული დარჩეს, – დაიჩივლა ბეიტსმა. მან განმარტა, რომ მრავალი წელი იკვლევდა დოღს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დოღის 80 პროცენტს ერთიდან ოთხ ნომრამდე ცხენები იგებდნენ.

პენსიონერმა კომპანიის სათავო ოფისში დარეკა და მათი ადგილობრივი ფილიალის წინააღმდეგ იჩივლა. მას კი უპასუხეს, რომ თანამშრომლებს უფლება აქვთ სხვადასხვა მიზეზით უარი თქვან მომსახურებაზე, მათ შორის მეტისმეტად დიდი თანხის მოგების მომიზეზებით. ბეიტსი პასუხმა შოკში ჩააგდო და ის ახლა უკვე ფსონებს სხვა კანტორებში დებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ვლადიმირ ვაისმა შემადგენლობა გამოაცხადა

23 მარტს ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება. ცხადია, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ახალი ციკლისთვის მზადებას იწყებს. წლის სადებიუტო მატჩებისთვის საწვრთნელი შეკრება 18 მარტიდან დაიგეგმა. ეროვნული ნაკრები სასტუმრო ჰუალინგში იცხოვრებს.

პირველ მატჩს ქართველი ფეხბურთელები „დინამო არენაზე“ შვეიცარიის წინააღმდეგ ჩაატარებენ. 26 მარტს საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ტურის შეხვედრას ჩვენი გუნდი უკვე დუბლინში ითამაშებს და „ავივა სთედიუმზე“, ირლანდიასთან გამართავს.

შვეიცარიასთან და ირლანდიასთან სათამაშოდ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა 25 ფეხბურთელი გამოიძახა.

შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია – პოლონური კორონას 21 წლის ქართველი ლეგიონერი ვატო არველაძე. ვატომ ბოლოს ვისლას წინააღმდეგ ითამაშა და 2 გოლიც გაიტანა.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (მაგდებურგი, გერმანია), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), სოლომონ კვირკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ჯანო ანანიძე (კრილია, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ვაკო გვილია (გურნიკი, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (უგუნდო);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ).

ამ დროისთვის ცნობილია კიდევ 9 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ვაისი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

ლაზარე კუპატაძე (ჟენესი, ლუქსემბურგი), ლევან გეგეჭკორი, ბუდუ ზივზივაძე (ორივე ტორპედო), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ბექა მიქელთაძე (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ლოკომოტივი, რუსეთი).

ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ტურის მატჩი საქართველოსა და შვეიცარიას შორის ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ 23 მარტს, 18:00 საათზე დაიწყება, ხოლო ირლანდიასთან თამაში 23:45 საათზეა დაგეგმილი.

ბითაძემ 19 სკაუტის თვალწინ შესანიშნავად ითამაშა

გოგა ბითაძის ტრავმა არ აღმოჩნდა სერიოზული და ქართველი ფორვარდი მოედანს მომდევნო თამაშშივე ტრიუმფით დაუბრუნდა. 19 წლის ქართველმა სეზონის ყველაზე შედეგიანი მატჩი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ჩაატარა. ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში ბითაძის ბუდუჩნოსტი შრემსკა მიტროვიცაში მეგა ბიმაქსს, კლუბს, საიდანაც იჯარით არის გადასული, შეხვდა და ქართველი ცენტრის წინამძღოლობით 77:70 დაამარცხა.

ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 27 წუთში 22 ქულა, 8 მოხსნა (5 შეტევაში), 1 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. ჩვენებურმა 12-დან 8 ორქულიანი, სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, გოგას სარგებლიანობის კოეფიციენტი 31-ს გაუტოლდა, რაც არა მხოლოდ აღნიშნული მატჩის, არამედ, 21-ე ტურის საუკეთესო მაჩვენებელია. ასე რომ, დიდი შანსია, ბითაძე ადრიატიკის ლიგის ტურის მვპ-ად დასახელდეს.

აღსანიშნავია, რომ მატჩს 19 სკაუტი ესწრებოდა. ეს ფაქტი არც უცხოურ მედიას გამორჩენია.

– გოგა ბითაძემ შთამბეჭდავი თამაშით ბუდუჩნოსტს გამარჯვება მოუტანა. ტრიბუნიდან მატჩს ნბა-ს 19 სკაუტი აკვირდებოდა და ინტერესის მთავარმა ობიექტმა მათ იმედები არ გაუცრუა – ბითაძემ 22 ქულას 8 მოხსნაც მიამატა. მატჩში გადამწყვეტი როლი, უსათუოდ, გოგა ბითაძემ ითამაშა.

ქართველმა ცენტრმა ყოფილ კლუბის მიმართ არანაირი სენტიმენტები არ გამოიჩინა.

ბუდუჩნოსტმა ხორვატული ცედევიტას მსგავსად 15 მოგება და 6 მარცხი მოაგროვა, თუმცა, ვინაიდან მეტოქეს ურთიერთშეხვედრებში ჩამორჩება, მე-3 ადგილი უკავია. პოდგორიცელები რეგულარული პირველობის დასკვნით შეხვედრას ისევ შინ, ზაგრების ციბონასთან გამართავენ.

გიორგი ბეჟანიშვილის ილინოის ფაითინ ილინიმ ამერიკის სტუდენტური ლიგის დიდი 10-ის კონფერენციაში მორიგი მატჩი გამართა. ილინოისელთა მეტოქე გახლდათ პენ სტეიტი. მატჩი სტუმართა მოედანზე, პენსილვანიაში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით – 72:56 დასრულდა.

ბეჟანიშვილი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 31 წუთში 16 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში), 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 13-დან 6 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ილინოისელებს 7 მოგება დ 13 მარცხი მოუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე იმყოფებიან, მომდევნო შეხვედრას კი შინ აუტსაიდერ ნორსვესთერნთან ჩაატარებენ.

ლუკა ბულაშვილმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ესპანეთის რანგით მე-4 ლიგაში მოთამაშე 20 წლის ქართველმა ორმაგი დუბლი შეასრულა და თავის გუნდ კულერედოს პორინო 70:57 დაამარცხებინა.

ბულაშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და 34 წუთში 14 ქულა, მისთვის სარეკორდო 13 მოხსნა (4 შეტევაში) და 3 პასი მიითვალა.

კულერედო 14 მოგებითა და 7 მარცხით 2-4 ადგილებს ინაწილებს და ლიდერ პონფერადას მხოლოდ 1 გამარჯვებით ჩამორჩება. ბულაშვილის გუნდი მომდევნო შეხვედრას სტუმრად, ოვიედოსთან ჩაატარებს.

რატი ანდრონიკაშვილის ბურგოსი ბურგოსისვე უნივერსიტეტს ესტუმრა და დერბი 77:95 წააგო. ქართველმა ლეგიონერმა მოედანზე 11 წუთი გაატარა და 4 ქულას 1 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება წაამატა.

ჩვენებურის გუნდი 11 მოგებითა და 9 წაგებით მეშვიდეა, შემდეგ ტურში კი ლა ფეჩასთან საშინაო შერკინება ელის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვიტ ჯორჯია ისევ არ აგებს

ვიტ ჯორჯია-ჩიხურა 1:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 ღუდუშაური (4), 1:1 მაისაშვილი (47)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, კიკნაველიძე, ჩიტიშვილი, საჯაია (გაფრინდაშვილი 70), მოსიაშვილი, ვასაძე, მაისურაძე (კაკაშვილი 57), ღუდუშაური (მუსელიანი 51), ღირდალაძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, კორიფაძე (მახარობლიძე 67), მეგრელიშვილი, კაშია, მამასახლისი, მარკოზაშვილი, ირაკლი ლექვთაძე (ჩიხლაძე 46), სარდალიშვილი, მუმლაძე (იონანიძე 85)

ვიტ ჯორჯიამ ისევ არ წააგო. უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა ვეტერინარებმა 3 ტურში 5 ქულა აიღეს. ჩანს, რომ ლაშა ფირცხალაიშვილის გაწვრთნილი გუნდი ამ სეზონში არავის არაფერს დაუთმობს.

ანგარიში მასპინძლებმა დასაწყისშივე გახსნეს. უკვე მე-4 წუთზე მარცხენა ფლანგიდან კიკნაველიძემ განივი პასი გააკეთა და ყველას ღუდუშაურმა დაასწრო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მაისაშვილმა საპასუხო გოლი გაიტანა, როდესაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შეროზიას კარში მიუჩინა ადგილი. მიმდინარე სეზონში ეს ვეტერინართა კარში გატანილი პირველი გოლი იყო.

დარჩენილ დროში ბევრი იყო ბრძოლა, ნაკლები მომენტები, მხოლოდ ბოლოს შეუტიეს მწვავედ სტუმრებმა. მახარობლიძის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მაისაშვილს კი დუბლის შესრულება მეკარე შეროზიამ არ დაანება.

დილა-სიონი 0:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა: გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, სანტოსი, გრიგალაშვილი, ნონდი (კუცია 76), რაზმაძე, ფორტესი, ნონიკაშვილი, ლემპტი (პაიმი 69), სპანდერაშვილი (ნჯოკუ 61)

სიონი: ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი (ლეჟავა 80), აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, ხმალაძე, დ.კირკიტაძე, სიხარულია (რაჟამაშვილი 61), უგულავა, ისიანი (ქიქავა 87)

არ გამოდგა კარგი საყურებელი მატჩი. უგოლო ფრეც ამის დასტურია. ერთია, გორელები, რომლებიც სეზონის წინ ოთხეულისთვის მებრძოლ გუნდად მიიჩნეოდა, ქულებს ანიავებს და, თუ ასე გააგრძელა, უფრო სხვა მისია გაუხდება შესასრულებელი.

სიონი კი ყოჩაღობს. გუნდს ელიტაში დარჩენა აქვს გულში ამოჭრილი და ქულებს ქულებზე აგროვებს.

სატუნინიო ცხრილი:

1.საბურთალო	3	3	0	0	6-2	9
2.ლოკომოტივი	3	2	0	1	7-4	6
3.ტორპედო	3	2	0	1	5-4	6
4.ვიტ ჯორჯია	3	1	2	0	2-1	5
5.სიონი	3	1	1	1	4-4	4
6.დინამო (თბ)	3	1	0	2	4-4	3
7.დინამო (ბთ)	3	1	0	2	1-3	3
8.დილა	3	0	2	1	1-2	2
9.ჩიხურა	3	0	2	1	2-4	2
10.რუსთავი	3	0	1	2	2-6	1

ზინედინ ზიდანი: „ისე დავბრუნდი, თითქოს რეალთან ერთად არაფერი მომიგია“

მადრიდის რეალმა ზინედინ ზიდანის გარეშე წელიწადიც ვერ გაძლო და ისევ გუნდში დაუბრუნა. ზიდანი 9 თვის განმავლობაში ისვენებდა, მაგრამ რეალს საქმეები ცუდად წაუვიდა, ისიც დაბრუნდა და რეალთან 2022 წლის ივნისამდე გააფორმა ხელშეკრულება.

ზიდანმა დაბრუნების შემდეგ პირველი პრესკონფერენცია გამართა.

ზინედინ ზიდანი:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი და მსოფლიოს საუკეთესო კლუბს ჩავუდექი სათავეში. სიმართლე რომ გითხრათ, არსად წავსულვარ. მე აქ ვცხოვრობ და ყოველდღიურად ვეცნობი, თუ რა ხდება სამეფო კლუბში. მივიღე ახალი გამოწვევა და გადავდივარ ცხოვრების ახალ ეტაპზე. სულ რაღაც 4 დღე მაქვს იმისთვის, რომ გუნდი მოვამზადო და ლა ლიგის მომდევნო ტურში სოლიდურად ვითამაშოთ. ინტენსიურ ვარჯიშს ვიწყებთ. კლუბი იმიტომ დავტოვე, რომ ტიტულების დახუნძლული 3 სეზონის შემდეგ ცვლილებები იყო საჭირო. გავიდა 8 თვე და ვთვლი, რომ კარგად დავისვენე და მოედანზე დაბრუნება საოცრად მომენატრა. აქტიურ რეჟიმზე გადავდივარ და ყველაფერს გავაკეთებ რეალის აღზევებისთვის. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა. კლუბში მალევე დაბრუნება გამოწვევის მიღებას ნიშნავს. არასდროს არაფრის მეშინოდა და ახლაც ასეა. მზად ვარ, ნებისმიერ წნეხს გავუძლო და მშვიდ რეჟიმში ვიმუშაო, ჩემთვის აქ ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავს. მიხარია, რომ პრეზიდენტი ნდობას მიცხადებს და ჩემს შესაძლებლობებში აბსოლუტურად დარწმუნებულია...

კრიშტიანუ რონალდუ მადრიდის რეალის ისტორიის ნაწილია. ის, რაც პორტუგალიელმა ამ კლუბთან ერთად გააკეთა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ახლა ჩვენ ვსაუბრობთ მომავალზე და არა წარსულზე. პორტუგალიელმა შექმნა ეპოქა, რომელზე საუბარიც არასდროს შეწყდება. ვოცნებობ იმაზე, რომ მომდევნო სეზონში რონალდუს გარეშე მყოფი რეალი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდეს და 7-იანის დაბრუნებაზე საუბარი შეწყდეს...

მომავალ წელს ყველაფერი შეიცვლება, წლევანდელი მიზანი კი სეზონის ღირსეული დასრულებაა. ტრანსფერებზე ახლა ვერ გესაუბრებით, ჩვენ დავსახეთ გეგმები, რომელსაც ეტაპობრივად განვახორციელებთ. მომდევნო 11 ტურის მანძილზე ნამდვილად დავინახავ, არსებულ შემადგენლობას რა რესურსი აქვს და რა მიმართულებებითაა რეფორმების გატარება საჭირო...

დიახ, გიდასტურებთ, რომ რამდენიმე გრანდიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ ავირჩიე რეალი. რატომ? იმიტომ, რომ მსურს ვიყო აქ და ვემსახურო მსოფლიოს საუკეთესო კლუბს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არც ახლა ვნანობ იმას, რომ 8 თვის წინ გუნდს გამოვემშვიდობე და წარმატებები ვუსურვე. მაშინდელი გადაწყვეტილება მართებული იყო. ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე და არ შევცდარვარ...

ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიქნებოდი ბედნიერი, როდესაც სამეფო კლუბი არც ისე კარგ მდგომარეობაში იყო. მიმდინარე მოვლენებს აქტიურად ვადევნებდი თვალს. მე ხომ მადრიდში ვცხოვრობდი. ფლორენტინომ დამირეკა და მითხრა, რომ ახალ პროექტს იწყებს, რომელსაც მე უნდა ვუხელმძღვანელო. უბრალოდ, არ შემეძლო, რომ უარი მეთქვა.

4 თვის წინ, როდესაც კლუბს ლოპეტეგი დაემშვიდობა, სამეფო კლუბში დაბრუნება არ მსურდა და ვფიქრობდი, რომ კიდევ უნდა დამესვენა, თუმცა გავიდა გარკვეული დრო და ჩემი ფიქრებიც შეიცვალა. რეალში ვბრუნდები დიდი მოტივაციითა და შემართებით.

დიახ, ფლორენტინომ შარშანაც მითხრა, რომ კლუბი არ დამეტოვებინა, მაგრამ მაშინ ვთვლიდი, რომ ჩემი გადადგომა იყო საუკეთესო გამოსავალი ყველასთვის. ადრეც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ გუნდში ძირეული ცვლილებებია საჭირო. რატომ? იმიტომ, რომ ამ კოლექტივმა მისია გადაჭარბებით შეასრულა, ფეხბურთელებს ასაკიც მოემატათ და, რა თქმა უნდა, კლუბში ახალი სახეების ხილვაა საჭირო, თუმცა, მერწმუნეთ, ახლა ტრანსფერებზე საუბარს აზრი არ აქვს. წინ არის ლა ლიგის 11 მნიშვნელოვანი ტური.

დიახ, მე დავბრუნდი, მაგრამ ახლა წარსულზე არ ვფიქრობ. ვიწყებთ ახალ პროექტს და ვიღებთ ახალ გამოწვევას. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რეალთან ერთად არაფერი მქონდეს მოგებული. უდიდესი ენთუზიაზმისა და შემართების წყალობით მჯერა, რომ დასახულ მიზანს მივაღწევ...

ლოპეტეგისა და სოლარის დადანაშაულება დიდი სისულელეა. მე ვფიქრობ, რომ ორივე სპეციალისტი ბოლომდე იხარჯებოდა სამეფო კლუბის წარმატებისთვის.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ზინედინ ზიდანი: „ისე დავბრუნდი, თითქოს რეალთან ერთად არაფერი მომიგია“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

კარგად მახსოვს შარშანდელი სეზონი, სადაც ლა ლიგა პირველივე წრეში დავთმეთ და ასევე ცუდად გამოვიყურებოდით სამეფო თასზე, თუმცა ჩემპიონთა ლიგის მოგებამ ყველაფერი შეცვალა. შეცდომების განმეორებას არ ვაპირებ და მსურს, რომ ტრიპლეტი მოვიგო.

სერხიო რამოსს ჯერ არ შევხვედრივარ. კაპიტანს სულ მალე ვნახავ და გეგმავს დავსახავთ. ესპანელის განცხადებებთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ შეიძლია.

ისკო, ბეილი და მარსელო? შესაძლებლობა მომეცემა, ამ ფეხბურთელებთან ვიმუშაო და შევაფასო მათი კონდიციები. ვიმეორებ, წინ 11 დაპირისპირებაა, საიდანაც ძალიან ბევრ დასკვნას გამოვიტან.

წავა თუ არა ბეილი? ამაზე ახლა როგორ გესაუბროთ? ანალოგიურის თქმა შემიძლია ისკოზეც. ყველა ფეხბურთელი მომენატრა. ხვალ მათ ვნახავ და გეგმებს გავაცნობ.

ეს იყო ზიდანის მონოლოგი, ესპანური მედია კი რეალში არაერთი სუპერვარსკვლავის გამოჩენას ვარაუდობს. მაგრამ, ისიც აღსანიშნავია, რომ ზიზუ რამდენიმე მძიმე გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

დღის წესრიგში აზარიდან დაწყებული, კეინით გაგრძელებული და ნეიმარით დამთავრებული, ბევრი ფეხბურთელი დგას, მაგრამ ამ ტრანსფერების გაჩარხვა ურთულესი იქნება.

ტონი კროოსის მადრიდული მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ზიზუმ შესაძლოა გერმანელი ფეხბურთელი გაუშვას.

იმ ფონზე, რომ ფრანგი სპეციალისტი გუნდში პოგბასა და კანტეს მოყვანას ითხოვს და მათ სათადარიგოთა სკამზე დასასმელად არავინ იყიდის, კროოსის ადგილი მართლაც რთული მოსაძებნი იქნება.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ზიდანი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს პოლ პოგბა დაიმატოს. ფრანგი ლეგენდა თანამემამულესთან მოლაპარაკებებს თავად აწარმოებს და ცდილობს, რომ მადრიდში გადაყვანაზე დაიყოლიოს.

თავის მხრივ, პოგბას შეძენაზე არც რეალი აცხადებს უარს და მზად არის, მოთამაშის სანაცვლოდ 120 მილიონი ევრო გადაიხადოს. ასევე აღსანიშნავია, რომ კროოსის სანაცვლოდ გუნდი მინიმუმ 100 მილიონ ევროს მიიღებს.

ესპანურ პრესაზე დაყრდნობით პერესმა უკვე იცის ზიზუს პოზიცია სამეფო კლუბიდან წამსვლელი ფეხბურთელების შესახებ. ფრანგმა ფეხბურთელმა სრული ავტონომია მოითხოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას სწორედ ლეგენდა აწარმოებს.

ზინედინის გეგმებში მომდევნო სეზონიდან აღარ შევლენ გარეთ ბეილი, დანი სებალოსი, ხამეს როდრიგესი (ბაიერნიდან დაბრუნდება და სხვაგან გაიყიდება), ხესუს ვალიეხო, მარიანო, ბრაიმ დიასი (იჯარით).

ფლორენტინო პერესი:

– დიახ, დასამალი ნამდვილად არ არის, რომ ზიდანი მბაპეზე ოცნებობს, რადგან კილიანში უდიდეს პერსპექტივას ხედავს. რეალი ყველაფერს გააკეთებს წინახაზელის შესაძენად. მბაპე თუ ნეიმარი? ორივე...

ვეშაპის ხახაში აღმოჩენილი გიდი ცოცხალი გადარჩა

სამხრეთ აფრიკაში ვეშაპმა ტურისტი რეინერ შიმპფი გადაყლაპა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბზე გამოქვეყნდა.

აღნიშნული ინციდენტი ალგოას ყურეში მოხდა. 52 წლის შიმპფი ტურისტების ჯგუფთან ერთად გაემართა სარდინების გუნდის გადაადგილებისთვის თვალის სადევნებლად. მოგზაურები სანაპიროდან 25 მილის დაშორებით იმყოფებოდნენ, როდესაც, შიმპფის თქმით, ის ვეშაპმა გადაყლაპა.

როგორც თავად შიმპფი ყვება, ყველაფერი წამებში მოხდა. მან შეშინებაც კი ვერ მოასწრო, ვინაიდან ასეთ დროს შეშინების დროც კი არ რჩება. მამაკაცს სწრაფად მოქმედება დასჭირდა იმისთვის, რომ თავი ვეშაპის ხახიდან დაეღწია.

ინციდენტის შედეგად შიმპფი არ დაშავებულა. მისი ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა კი აღნიშნა, რომ ვეშაპები კაციჭამიები არ არიან, ისინი „ნაზი ცხოველები არიან“.

მოჩხუბარი ლეოპარდები ჭაში ჩაცვივდნენ

ინდოელ ცხოველთადამცველებს ჭიდან ორი ლეოპარდის ამოყვანა მოუხდათ, რომლებიც ორთაბრძოლის დროს წყალში ჩაცვივდნენ.

ინციდენტი მახარაშტრას შტატის სოფელ ბატკალვადიში მოხდა. ორი ლეოპარდი ერთმანეთს ტერიტორიის გამო დაუპირისპირდა და ორთაბრძოლის დროს 15 მეტრი სიღრმის ჭაში ჩაცვივდნენ. ადგილობრივებს ჭიდან ცხოველების ღრიალის ხმა მოესმათ და ლეოპარდების დაცვის ცენტრიდან, რომელიც სოფლიდან დაახლოებით 80 კილომეტრში მდებარეობს, ეკოლოგები გამოიძახეს.

როდესაც ცხოველთა დამცველები ადგილზე მივიდნენ, არაქათგამოცლილი ცხოველები ერთმანეთს აღარ ებრძოდნენ და უბრალოდ, ერთმანეთს ეკვროდნენ კედლის შვერილზე მდგომნი. ეკოლოგებმა ჭის სიღრმეში გალია ჩაუშვეს და ცხოველები რიგრიგობით ამოიყვანეს. სამაშველო ოპერაცია დაახლოებით სამ საათს გრძელდებოდა და მას ფაქტიურად მთელი სოფელი ადევნებდა თვალს.

მტაცებლები ლეოპარდთა დაცვის ცენტრში გადაიყვანეს. ვეტერინარების თქმით, მათ მცირე იარები აქვთ, რომლებიც მათ ორთაბრძოლის შედეგად აქვთ მიღებული. ექიმებმა ცხოველებს შიდა დაზიანებები ვერ აღმოუჩინეს. მათი თქმით, ისინი ლეოპარდებს რამდენიმე დღე დააკვირდებიან, ხოლო როდესაც ძალას მოიკრებენ, ისევ ბუნებაში დააბრუნებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ძვირფასო ნოდარ!



ნოდარ მეძმარიაშვილი

გილოცავთ დაბადებიდან 90 წლისთავს. თქვენ მთელი თქვენი შემოქმედებითი ცხოვრების გზა მიუძღვენით ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, რომელსაც დღესაც ღირსეულად აგრძელებთ. გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელ სიცოცხლეს.

თქვენი თანაკურსელი მეგობრები:
ლამარა მასხარაშვილი, იამზე ფანცხავა,
ადიკო გვალია, თამაზ შარაბიძე,
ნოდარ ჩიბალაშვილი, გუგა ჭოხონელიძე

ასტროპროგნოზი

13 მარტისთვის

ვერძი – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **კურო** – არასტაბილური დღეა. მიზნის მიღწევას საკმაო შრომა დასჭირდება. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნათ. გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. **ლომი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – გელით ახალი საინტერესო ნაცნობობა. მეგობრული და საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **ღრიანცელი** – მშვიდი და სიხარულით აღსავსე პერიოდია. თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას, სავარაუდოდ, დღეს მოაგვარებთ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **მერწყული** – პიროვნული მომხიბვლელობა თქვენს წარმატებას ხელს შეუწყობს. საკუთარ უნარებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **თევზები** – აგრესიული, პროვოკაციული და მაცდური დღეა. თავს ნურაფრით გაინებივრებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 2. ლუდის დასაყენებელი ჭურჭელი ფშავ-ხევსურეთში; 3. მარჯნის ძველი ქართული სახელწოდება; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 7. ძველებური, სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 11. შენიშვნა, განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 13. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 14. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 15. განცალკევებული საკანი პატიმართათვის ციხეში; 16. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 17. ყველაზე გრძელი მდინარე აფრიკაში; 19. ცირკის მოედანი; 20. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

თარაზულად: 1. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 4. დაბალი ხის მაგიდა; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. დამრიგებელი, სულიერი მოძღვარი ინდოეთში; 10. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 12. ისრაელის პარლამენტი; 14. ინდონეზიის კუნძული, პოპულარული საკურორტო ზონა; 15. თეორიული მექანიკის ნაწილი; 16. სილვესტერ სტალონეს კინოპერსონაჟი; 18. თეთრყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 23. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაჟე; 2. გირჩი; 3. იდიში; 4. ქინთი; 5. ბუსოლი; 6. ძეფირელი; 8. იმპიჩმენტი; 10. ტრუსკავეცი; 11. კარდინალი; 14. საბვეი; 15. დევიზი; 16. კატაი.

თარაზულად: 1. ბურგასი; 4. ქობულაძე; 7. ჟიური; 9. ფიატი; 12. ლინატე; 13. სპორა; 14. სალათი; 17. ლენონი; 18. დიელექტრიკი; 19. კიელინი; 20. ჩინეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფაუსტი; 2. ტორფი; 3. ლოტი; 5. პილონი; 6. ჭვავი; 7. ფოფოდია; 11. ტანინი; 13. გეიზერი; 14. გიუმი; 15. მონარქი; 16. ოკლენდი; 17. დოკერი; 19. ალაფი; 20. ქისი.

თარაზულად: 1. ფუტზალი; 4. კასპი; 8. ტროპი; 9. ლემა; 10. სოფიტი; 13. ლონდონი; 14. გოია; 15. მამისონი; 16. ოპუსი; 18. ბრაგა; 21. კაფია; 22. დროსელი; 23. ფერმერი.

მსახიობი ია ხობუა გარდაიცვალა

რუსთავის თეატრის მსახიობი, სახალხო არტისტი ია ხობუა 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია რუსთავის თეატრმა გაავრცელა:

– იგი ქალაქ რუსთავში 1967 წელს სწორედ მარჯანიშვილის თეატრის იმ ახალგაზრდა გუნდთან ერთად ჩამოვიდა, რომელმაც თეატრის ისტორიას დაუდო საფუძველი.

ამ გუნდში იმყოფებოდა მსახიობის მეუღლე, შესანიშნავი მსახიობი რეზო ხობუა, რომელიც თეატრის დაარსებიდან მალევე გარდაიცვალა.

ია ხობუამ არა ერთი საინტერესო სახე შექმნა რუსთავის თეატრში დადგმულ სპექტაკლებში ,,გუშინდელნი", ,,ვალი", ,,ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია"...

ბევრი მათგანი ჩანაწერის სახით დღემდე შემორჩა ისტორიას. განსაკუთრებული სიყვარული კი ქალბატონი იას ერთ პერსონაჟს ერგო, ეს მიხეილ ბუკიას მიერ დადგმული სპექტაკლის, ლაშა თაბუკაშვილის პიესის ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია"-ში განსახიერებული ბებიის როლია. სპექტაკლი, რომელმაც სატელევიზიო სივრცეში ჩვენების და მოთხოვნის რაოდენობით რეკორდი მოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სპექტაკლის პრემიერიდან მრავალი წელი გავიდა, ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულიას" დადგმას მაყურებელი ისევ ისე აქტიურად ითხოვს.

სწორედ ამ სპექტაკლის ნაწყვეტით, მისი მონოლოგით ვემშვიდობებით ქალბატონ ია ხობუას. ღმერთმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი ულამაზესო ქალბატონო!

„ჩემი ცოლის დაქალების" შემოქმედებითმა ჯგუფმა გურულები გაანაწყენა

სერიალი „ჩემი ცოლის დაქალების" ახალი მე-15 სეზონი გურულებისთვის არასასიამოვნოდ დაიწყო. გურიაში გადაღებულმა ეპიზოდმა მათი განაწყენება გამოიწვია.

გურულების გულისტკივილი ერთ-ერთმა გურულმა, თამუნა მახარაძემ გააჟღერა. მისმა ნათქვამმა უამრავი მოწონება დაიმსახურა:

– მოგმართავთ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" გადამღებ ჯგუფს და სცენარისტებს, ჯერ ერთი, საერთოდ არ ვუყურებ მაგ სერიალს, მეორეც ის, რომ მე, როგორც სოფელ „ლიხაურის" ერთ-ერთ მაცხოვრებელს, ძალიან მეწყინა, რომ ასე გაპარტახებულად წარმოაჩინეთ ჩვენი სოფელი. მართალია გურიაში დიდი გაჭირვება და სიღარიბეა, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე, როგორც მაგ ფილმში გადაიღეთ და აჩვენეთ.

ჭირის და ლხინის სუფრა არ გვეშლება გურულებს, მით უმეტეს, მიცვალებულის პატივისცემა განსაკუთრებულადაა ჩვენში. მარტო „მჭადი და ლობიო" რომ აჩვენეთ ვითომ და სადილად ჩათვალეთ, რა შეიქნა ის 1 კილო „ყველი" ასეთი სალაპარაკო, მთელი 2 სერია ყველი არ ჰქონიათო რომ გაიძახდით. კარგი ბატონო, „ყველი", ვერ დავიჯერებ მაგას, მაგრამ ვთქვათ და არ იყო, აღარც მწვანილი იყო არავის ბოსტანში და აღარც ერთი თეფში მჟავე იშოვებოდა, რომ დაგედოთ სუფრაზე და გადაგეღოთ ღამაზად? რა ვიცი, სცენარში ისე გაქვთ დაწერილი თუკი ვინმე გაბედნიერდა, ყველა მაგ ცხონებულ ქალთან ჩამოსულა და დავიჯერო, ახლა ყველას პატივისმცემელმა „ტატიანამ", მთელს სოფელს მისი ვალი ჰქონია, „მჭადით და ლობიოთი" ხვდებოდა სტუმრებს და ისიც ახალდაქორწინებულებს.

თქვენ ვერ მიიხვედრეთ, რა დაგედოთ და როგორ გეჩვენებინათ გურული სუფრა, თორემ, დარწმუნებული ვარ, ცხონებულ „ტატიანას" ყველიც ექნებოდა და გემრიელ „ხაჭაპურსაც" გამოაცხობდა, და კიდევ ერთი, კი მაინტერესებს, რომელ დიასახლისს აქვს „ქვიჯა" ფილთაქვა გატეხილი, ეს რა მოსატანი იყო სერიალში, ვერ გამიგია. ამდენი წელია მაქ ვცხოვრობ და ჯერ არ მსმენია, რომელიმე დიასახლისს ,,ფილთაქვა" გაეტეხოს, არამც თუ მეზობლის საკუთარიც კი. ვერ დავიჯერებ, რომ იმ უბანში, სადაც ეს ფილმი გადაიღეთ, მასე მშრალად ისტუმრებდნენ მიცვალებულს.

მე ვცხოვრობ მაგ უბანთან ძალიან ახლოს და რომ ვიცი, იმიტომაც ვწერ ყოველივე ამას, ძალიან მიკვირს და ნაწყენი ვარ, რომ ასე სამასხარაოდ და ასე დაღატაკებულად წარმოაჩინეთ დიდი ,,ექვთიმე ღვთისკაცის თაყაიშვილის" მშობლიური სოფელი. სულ რამდენიმე ხნის წინ გადაიღეს ლიხაურში ფილმი ,,ექვთიმე თაყაიშვილზე", ყოველივე ამის შემდეგ, როგორ იფიქრეთ, რომ ასე დაჩაჩანაკებულად და ასე სამასხარაოდ აგეგდოთ სოფელი, უბანი, ხალხი, იმ კუთხის სამეზობლო და ვითომდა გურული „სატირელის" სუფრა.

არ ვართ მთლად მასე წასული ხელიდან გურულები და მით უმეტეს, ,,ლიხაურლები", მართალია ბევრი მომენტი რეალური და ყოველდღიური ცხოვრებისეული ეპიზოდებიც არის სერიალში, ზოგიერთი რამ მომეწონა და კიდეც ვიმხიარულე, მაგრამ რამაც გული დამწყვიტა და რაც მეწყინა, რომ არ მომეწერა, ვერ მოვითმინე.

დიდ ბოდიშს გიხდით ასეთი მწარე სიმართლისთვის. ჭირისა და ლხინის სუფრა საქართველოს არცერთ კუთხეში არ ეშლებათ და ყველა კუთხემ უაღრესად კარგად იციან სტუმარ-მასპინძლობა და პურ-მარილი, მაგრამ ასე ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ ვართ არც „გურულები", არც გურული ადათ-წესები, არც ჩვენებური სუფრა და პურ-მარილი და არც „გურია", სხვათა შორის. იმ ატალახებულ ეზოში ერთი ტომარა ნახერხა დაგეყარათ, მადლი იყო."

„საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლის იუბილე გამოფენით აღინიშნება

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში მხოლოდ ერთი დღით გამოიფინა ეროვნულ არქივში ამ ისტორიული ფაქტის ამსახველი საარქივო დოკუმენტების დედნები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული 1918 წლის 26 მაისს და დამტკიცებული 1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე, ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს, დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, 1919 წლის 12 მარტის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის ოქმი და სხდომის ფოტოები.

დამფუძნებელი კრება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო, რომელიც 1919 წლის 14-16 თებერვალს საყოველთაო, ფარული, თანაბარი, პირდაპირი კენჭისყრით აირჩია საქართველოს მოსახლეობამ. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა კი 1919 წლის 12 მარტს ჩატარდა. დამფუძნებელი კრების წევრთა შორის 5 ქალი იყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უდიდესი მასშტაბის ღვაწლმოსილი ქართველი მშენებელი

ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოსა და მსოფლიოს მშენებელ ინჟინერთა საბჭოს ოფიციალური წევრი – „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება" გულთბილად გილოცავთ თქვენ, **ბატონო ნოდარ,** საქართველოს დამსახურებულ მშენებელსა და საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, **დაბადების 90 წლის იუბილეს**.

ალბათ, ღვთის ნებით მოხდა, რომ თქვენი 2012 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ვყოფილიყავით თქვენ გვერდით, უდიდესი მასშტაბის ღვაწლმოსილი მშენებლის, მასწავლებლის, მეგობრის, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პიროვნებასთან ერთად.

დაბრუნებისთანავე ჩაერთეთ მშენებელთა დარგის განვითარების, ინსტიტუციური მოწყობისა და სრულყოფის საქმეში, რათა დახმარებოდით ქვეყნის პარლამენტსა და მთავრობას, დღეს ჩიხში მოქცეული დარგის თანამედროვე პოზიციებზე დასაბრუნებლად.

შრომითი მოღვაწეობა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, როგორც სამთო ინჟინერმა, დაიწყეთ სამთო-მომპოვებელი გიგანტის, ომით დანგრეულ დონბასში შახტების მშენებლობაზე, სადაც გამოიჩინეთ თავი და სამუშაოთა მწარმოებლიდან მოკლე ხანში მთელი ოლქის სამშენებლო გაერთიანების „დონეცკბინმშენი"-ს ხელმძღვანელი გახდით.

ნოდარ მეძმარიაშვილი

თქვენი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით სტეპში გაშენებული 100 წლის ქალაქი მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად იქცა. იუნესკომ დონეცკი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ქალაქად აღიარა ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქებს შორის. მილიონი ვარდი, რომელიც თქვენი ინიციატივით ქალაქის იუბილეს მიეძღვნა, აღფრთოვანებით იქნა აღნიშნული ევროპის ქვეყნებში.

ყველაფერი ეს უდავოდ ფასდაუდებელი შრომისა და სამოქალაქო მშენებლობის სფეროში საკითხების რეალიზაციის მიმართ არასტანდარტული მიდგომის შედეგია.

1973 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მოწვეული იყავით თქვენს სამშობლოში მშენებლობის მინისტრის თანამდებობაზე.

დედასამშობლოში მშენებლობის მინისტრად 7 წლის მუშაობის პერიოდში თქვენ:

– შეიმუშავეთ და დანერგეთ სამშენებლო პროცესის მართვის ახალი, თანამედროვე, საქართველოს პირობებზე მორგებული სისტემა;

– შეიმუშავეთ საქართველოსათვის საჭირო სამშენებლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ააშენეთ, აამუშავეთ და დაამკვიდრეთ იგი ქვეყანაში;

– ძირფესვიანად განაახლეთ სისტემის ხელმძღვანელი კადრები, მტკიცე გეზი აიღეთ ახალგაზრდა, საინჟინრო განათლების მქონე სპეციალისტებზე;

– შექმენით დაგეგმვის, წარმოებისა და კონტროლის კომპიუტერული მართვის ცენტრი და სადისპეტჩერო სამსახური.

თქვენი ძალისხმევით დაიწყო საქართველოში რიტმული და კოორდინირებული მუშაობა სამშენებლო ტრესტებსა, მშენინდუსტრიის საწარმოებსა და სამინისტროს სტრუქტურებს შორის, რაც განაპირობებდა მრავალრიცხოვანი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების ხარისხიან და დროულ შეყვანას ექსპლუატაციაში.

ამ დროს აშენდა საცხოვრებელი კომპლექსები, ქიმიური მრეწველობის ქარხნები რუსთავში, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებს და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს.

სადაც კი მოგიწიათ მუშაობა მშენებლობის მინისტრად, შემდგომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, მოსკოვში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად, ან მის შემდგომ პერიოდებში, ყველგან გამოირჩეოდით პროფესიონალიზმის მაღალი დონითა და ენერგიულობით.

როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, მიუხედავად დროის მუდმივი დეფიციტისა, განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდით ლიტერატურის, მუსიკის, ისტორიის, თეატრისა და სპორტის მიმართ.

წარმატებული შრომითი მიღწევებისთვის დაჯილდოებული ბრძანდებით მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი. ხართ რამდენიმე დარგობრივი საერთაშორისო და რესპუბლიკური აკადემიის ნამდვილი წევრი. რამდენჯერმე იყავით არჩეული საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მოწვევის დეპუტატად. ბრძანდებით საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ბატონო ნოდარ, თქვენ აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდით ახალგაზრდების აღზრდის სფეროში. იყავით დონეცკის ოლქის ჩოგბურთის ფედერაციის პირველი თავმჯდომარე, 1973-1982 წლებში სათავეში ედექით საქართველოში ჩოგბურთის ფედერაციას, სადაც მოკლე დროში მოაწყვეთ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და საქართველოს სხვა ქალაქებში დახურული და ღია კორტები თავისი ინფრასტრუქტურით, შექმენით საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრები გუნდისათვის საუკეთესო სავარჯიშო ბაზა ქ. თელავში. 1979 წელს კი ესპანეთში დევისის თასის გათამაშებაში ხელმძღვანელობდით საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრებს.

თქვენი უშუალო ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით დაისვა საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე, სამშენებლო დარგის მოღვაწეთათვის გამოცემულიყო საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია.

დღესაც ჩვეული მონდომებითა და ენერგიულობით აქტიურად ხართ ჩაბმული საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში.

საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება გისურვებთ, ბატონო ნოდარ, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას თქვენს ღამაზ ოჯახთან, დიდძალ მეგობრებთან და კეთილის მსურველებთან ერთად.

უღრმესი პატივისცემით, საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების მმართველი საბჭოს სახელით:

საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი **იური სვანიძე**

საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიური დოქტორი **მალხაზ ბედიაშვილი**

აკადემიური დოქტორი, პროფესორი **ნოდარ ედიშერაშვილი**

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ნოდარ გრიგოლია**

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გელა ყიფიანი**

აკადემიური დოქტორი **ოთარ წიწილაშვილი**

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.6868	ევრო — 3.0214
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.491	100 რუსული რუბლი — 4.0675

ამინდის პროგნოზი 13 მარტისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“



12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

სალმრთო ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 მარტიდან

ანდრე ჟიდი

ცოლთა სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ნატო გელაშვილმა ბორჯომის საპატიო მოქალაქეობაზე უარი თქვა

მომღერალმა ნატო გელაშვილმა მშობლიური ბორჯომის საპატიო მოქალაქეობაზე უარი თქვა:

– მივიღე გადაწყვეტილება, უარი ვთქვა ბორჯომის საპატიო მოქალაქეობაზე. ტიტულების მოტრფიალე არასოდეს ვყოფილვარ. ქალაქ ბორჯომს და ჩემს ხეობას საპატიო მოქალაქეობა და შვილობა ისე გავუწიე, როგორც ჩემს წესსა და ზნეს ეკადრებოდა. მთელი 20 წლის მანძილზე. 1998 წლიდან. ვყოფილიყავი სასარგებლო ჩემი ქალაქისა და ხეობისათვის, ეს ცხოვრებისეულ მოვალეობად ვატარე ამდენი წელი...

გამიგონია, ქალაქზე არ ითქმის კედლები არა აქვსო, თუ მას აგურის ნაცვლად ვაჟკაცები არტყია გარს. ადამიანს აქვს უფლება, არ იყოს მეცნიერი, მაგრამ არ იყოს მისი ქვეყნის შვილი – არავის აქვს ამის უფლება. ადამიანს გონებისაკენ მხოლოდ გამოცდილება მიუძღვება.

აზროვნება ყველაზე კეთილი გზაა, გამოცდილება – ყველაზე ძნელი. ჩემი ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია ანგარიშის გაწევა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ჭუჭყიანი ხელების ფათური სხვის საქმეში ხელობად გადაუქცევიათ და მათი ყოველდღიური ცხოვრების წესად ქცეულა.

ყოველივე გაივლის, ყოველივე გაქრება: ძალა-უფლება, გენიოსობა... ყველაფერი მიწად იქცევა, მხოლოდ კეთილი საქმე სულდგმულობს დიდხანს და რჩება. „ზოგჯერ სადაც ჭკუა სცდება და ტყუის – იქ გრძნობა მართალია: ახლა ჩემს ღირსებაზე დაბლა დგას ის, რომ მერქვას იმ ბორჯომისა და იმ ხეობას საპატიო მოქალაქე, რომელსაც აგურის ნაცვლად ვაჟკაცები აღარ არტყია გარს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ტელეფონი რეკავს:

– ალო, უკაცრავად, ლამარას სთხოვეთ.

– ლამარა გათხოვდა, მაგრამ თქვენ არ ინერვიულოთ, მალე დაბრუნდება.

•••

ქალი დაქალს უყვება:

– შემდეგ კი დიდხანს დავდიოდი ოჯახის ფსიქოლოგთან.

– და რატომ დაანებე თავი?

– ფსიქოლოგის ოჯახი იყო წინააღმდეგი...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– იღბლიანი ხარ?

– მერე როგორი! ერთხელ ჩემ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ, ნარკოტიკები ვიპოვე, რომელიც პოლიციელებმა ჩამიდეს, მაგრამ თვითონ ვეღარ იპოვეს!

•••

ექიმები ორი საათია პაციენტის რეანიმირებას ცდილობენ და ამ დროს პულსი საერთოდ იკარგება. ერთი ექიმი მეორეს ეუბნება:

– ავადმყოფს ვკარგავთ!

ამ დროს ხანშიშესული სანიტარი კითხულობს:

– და რაზე მუშაობდა?

– სამარშრუტო ტაქსის მძღოლი იყო.

სანიტარი მივიდა ბოქსის კართან და მთელი ძალით მიაჯახუნა.

ამ დროს მედდა ექიმს ეუბნება:

– შეხედეთ, პულსი 80, წნევა 120 90-ზე. ექიმო, მან თვალები გაახილა!!!

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– შე შობელძაღლო, რა მოუვიდა მანქანას?!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– გეყოფა, დაწექი! თავად არ იძინებ და არც სხვებს აძლევს დაძინების საშუალებას!

– არ შემიძლია, მე ბუ ვარ.

– მაშინ მიდი აბა, თავი 180 გრადუსით შეატრიალე!

– არ შემიძლია.

– არა უშავს, ახლავე დაგეხმარები.

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– ნუ მაბრაზებ, განრისხებული საშინლად გამოვიყურები!

– არც ისე ხარ ანგელოზი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ივანკა ტრამპი რეალურად ივანკა არ აღმოჩნდა

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქალიშვილი ივანკა ტრამპი დაბადების დროს ივანას სახელს ატარებდა.

– ჩემი ნამდვილი სახელი ივანაა. ჩეხეთში ივანკა სახელ ივანას ბავშვური ვერსიაა, როგორც, მაგალითად, ბობი რობერტისთვის, – დაწერა ივანკამ საკუთარ ტვიტერში.

ივანკა ტრამპი დონალდ ტრამპისა და ივან ზელნიჩევსკის ქალიშვილია. მათ 1977 წელს იქორწინეს, მაგრამ 1992 წელს დაშორდნენ ერთმანეთს. ივანკას გარდა ზელნიჩევსკისთან ქორწინებიდან აშშ-ის პრეზიდენტს კიდევ ორი შვილი ჰყავს: დონალდ ტრამპ-უმცროსი და ერიკ ტრამპი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოჰამედ სალაჰი: „ჩემპიონთა ლიგას პრემიერ ლიგის მოგება მირჩევნია“

ლივერპულის ეგვიპტელმა ნახევარმცველმა მოჰამედ სალაჰმა ლივერპულის მიზნებზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის მთავარი პრემიერ ლიგის მოგებაა, რადგან გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ეს სურთ:

– ჩემთვის ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული ტურნირია, მაგრამ ვხედავ, რომ ლივერპულში ყველაზე მეტად პრემიერ ლიგის მოგება სურთ, ამიტომ ჩვენთვის ეს ტურნირი პრიორიტეტია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად არ ვიბრძოლებთ.

მარსელომ რეალიდან წასვლა გადაიფიქრა

მადრიდის რეალის მცველმა მარსელომ ზიდანის დაბრუნების შემდეგ გუნდიდან წასვლა გადაიფიქრა. მარსელოს უთანხმოება ჰქონდა სანტიაგო სოლარისთან და მზად იყო, გუნდი დაეტოვებინა, მაგრამ ზიდანის მოსვლამ ყველაფერი შეცვალა და მარსელო რეალში გააგრძელებს კარიერას.

გარდა ამისა, მარსელო ზიდანის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია და ფრანგი მწვრთნელი მის წასვლას არ დაუშვებს. გუნდის დატოვება, შესაძლოა, ისკომაც გადაიფიქროს, რომელიც სოლარის დროს რეალის განაცხადშიც ვერ ხვდებოდა.

ტომას ტუჰელი: „პსჟ-ს ფეხბურთელებს თამაში აღარ უნდათ“

პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუჰელმა მანჩესტერ იუნაიტედთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ მის ფეხბურთელებს თამაშის სურვილი აღარ აქვთ და მათთვის რთულია ფეხბურთზე ფიქრი.

მიუხედავად ამისა, ტუჰელის თქმით, პსჟ სეზონს ჩვეულებრივად დაასრულებს.

– მანჩესტერთან მარცხის შემდეგ ფეხბურთელებს უჭირთ კონცენტრაცია და მათ სურვილიც ნაკლები აქვთ, მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და სეზონის დარჩენილ შეხვედრებში მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებთ, – განაცხადა ტუჰელმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. აეროპორტი პარიზში; 2. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, კორძი; 3. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 4. ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 5. ვულკანი ნეაპოლის მახლობლად; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. გურული სიმღერა; 11. კუთხე საქართველოში; 14. მხარე ავსტრიაში; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

თარაზულად: 1. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქალაქი ბელგიაში; 9. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 12. შხამიანი გველი; 13. გალექსილი აფორიზმი; 14. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 17. აპკი, რომელიც ფარავს ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლებს; 18. ჰერმეტული სარკმელი გემზე, თვითმფრინავში; 19. ზღვების, ტბების, ფსკერზე ბინადარი ორგანიზმების საერთო სახელწოდება; 20. ინდური კანაფისაგან დამზადებული ნარკოტიკი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა